

# 600 წელი


საქართველო  
გიმნაზია

3



140  
2003/2

საქართველო კულტურის მუზეუმი



მარტინ შრედერი, მ. ა. გ. ს.

საქართველოს გიმნაზია

# საქართველოს მოძალური

033 369-44-44

საქართველოს




თბილისის 142-ე საშემართო სკოლა, III კლასი.  
ნერგმდრეზანერით მძიმე მუსიკოფერმა

თბილისის 155-ე საშემართო სკოლა, II კლასი.  
ნერგმდრეზანერით ნინო რეჯაბიანი



თბილისის 155-ე საშემართო სკოლა, II კლასი.  
ნერგმდრეზანერით ნინო ჩხიაძეს

თბილისის 155-ე საშემართო სკოლა, I კლასი.  
ნერგმდრეზანერით ვანის ჯუსტენი



# ნაბეჭდული

საყაზვილო ჟურნალი

2003 წ. № 3


ჩურნი ქუთათალი 1904 წელს სახითადულო მამულიშვილთა მესულტომით გაატარებული პირული ძართული საყმარტვილო ქუთათალის ნათურატიკის ამონტდილი. მოგვიანებით მას სახელი შეცვალა და „პიონერი“ უწოდა, 1990 წლიდან კი იგი კულტურული თავისი პირვანდებული სახელით გამოიისა.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაცია სააგენტო „ვაჟა-ფი“	2.
ასახვლებელი გაფ აატივისცეას იმსახურებს (შურნალის სტუმარის თბილისის 155-ე საცოლე)	3.
ოფიციალური კვირი და გვერდი (მოთხოვბა)	5.
„ოდომარი“	9-16-24.
იცობადეთი – მს „აატარა გაორგიკაა“.	10.
თურქეთი ვიზაც ამბობს, დღეს ტიგნის კითხვა „გოიორგავარ“.	11.
სპონტი	13.
ნინო იოსელიანი (ერთი თქვენებანი)	14.
ფესტი თიხეიჯერებანისთვის	15.
სვალინდელ დღეზე ზრუნვით	17.
მსოფლიო კიბიტ-კიბეადე	18.
თამარ გურნამე-ლილიკავილი. ლექსები. (კომიტის ერთი გვერდი).	19.
კუნძული, სადაც მოლოდ გველები გინადრობან (ბუნების კარი)	20.
რატომ ვამბობთ ასე?	21.
გაცი, დაიძლენი და სხვები	22.
ვისი ამაგიც გვზრდის და გვახარებს	25.
სატოვანიან ასო-აგრიკი დამზერდობამდე	26.
იცი, რას ნიმნავს უენი სახელი?	29.
იცვლისის დედოფლებულება ელიდანი მოსჯავლე	30.
სიცილის გაკვეთილი	31.
იცილო-გიცილო	32.

რედაქტორი  
განაც გელაგვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14  
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.  
ინდექსი: 76157  
ფასი 1 ლარი  
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



# "ნაკადული" დაწვის განვითარების სამინისტრო "ფინანსი"



## ლეონი ჩავჭავაში ქორენაზე აუცილებელი

კლუბ „სარდაფში“ შედგა რეისორ მაღაზის კუნძინის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფორმის პირველი ნაწილის პრემიერა. 10 წუთიან კინონოველას მისი გმორის, აფხაზეთიდან დევნილი 15 წლის გოგონას სახელი ჰქვა - „მედე“. ფილმი აგებულია სოხუმელი გოგონას ნაამბობზე, რომელიც 6 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი იძულებული გახდა სოხუმი დატოვებინა და ჭუბერის უღულტეხილის მიმექ გზას დასდგომოდა. ამ 12 დღის განმავლობაში გოგონას მიერ ნანახ-განცდილზე აგებული ფილმი ახალი კუთხით წარმოაჩენს აფხაზეთის პრობლემას. სულ ფილმი ხუთი ნოვემბრისაგან შედგება, რომლებიც სხვა დევნილი ბავშვების ნაამბობის საფუძველზე შეიქმნა, მაგრამ ჯერჯერობით უსასხრობის გამო ოთხი ნოვემბრის გადაღება ვერ ხერხდება.

## მარია თხელია ახილეად მიუზიდვი სიმას ჩრდილებას

მარია თხელია დამტკიცეს სიმბას როლზე მიუხილდა „მეფელომი“, რომელიც ნიუ-იორკში, ბროდვეიზე დაიღვება. იმისთვის, რათა მსოფლიოს კულტურული ბავშვის საფარელი ლომის ლეგენდი პატარა ამერიკელების გასაგებ ქნახე ამღრდეს, შოუბიზნესის ქართველი ვარსკვლავი აშშ-ს ვირჯინის შტატში ამერიკული ინგლისურის გაძლიერებული სწავლების სამთვიან მოსამაზადებელ კურსს გაიკვის.


## ერი გადოჩა, იარებაო!

თბილისის 143-ე სკოლას იაპონის ელჩი ბატონი ტეხიუკი ფუკირარა ჰქვია. საპატიო სტუმარი პირადად მისთვის და მისი ქვეყნისთვის მადლობის სათქმელად თვითონ სკოლამ დაპატიჟა. სამადლო-ბელი კი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ნამდვილად აქვთ. მიწისძვრით დაზარალებული სკოლის შენობის აღდგენა-გარემონტება მოლიანად იაპონელებმა იდეს თავს და პირნათლადაც შესარტებს დანაპირები - იაპონიის მთავრობამ 143-ე სკოლის შენობის გამაგრებარემონტის 57412 დოლარი გამოყო, ქართულმა ფირმა „კომმერციულნამდებარები“ კი ამ ფულით დროულად და ხარისხიანად ჩატარა სამშენებლო სამუშაოები: შენობა გამაგრდა, გადაიხურა და შიგნიდანაც საფუძვლიანად გარემონტდა. სწორედ გაწეული სიკეთისთვის მადლობის სათქმელად მიიწვიეს ბატონი ტეხიუკი ფუკირარა 143-ე სკოლაში. საპატიო სტუმარს სკოლის შესასვლელში მადლიერების გამომხატველი იაპონური წარწერა დახვდა, რამაც ძალზე გაახარა იგი. სკოლის მოსწავლეთა გულთბილი სიტყვებით, ცეკვა-სიმღერით ნასიამოვნები ელჩი იაპონურ ენაზე გამოთქმული მადლობითა და იმის იმედით გააცილეს, რომ იაპონულები ბოლომდე მიიყვანენ დაწყებულ საქმეს და ბარემ სკოლის შენობის ფასადის გარემონტებაზეც იმავე კულტურულ კურსს მან ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის კონკურსში ელენე ქარსელაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიის ჯილდო დაიმსახურა, იმავე 2001 წელს მან ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის გამოფენაზეც წარადგინა თავისი ნამუშევრები და სიგელით დაჯილდოვდა, შარმან კი ელენე თურქეთის ქალაქ დიდიმში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა. არანაკლები წარმატებები აქვს ელენეზე ოდნავ უცცროს სალომესაც. იგი ჩეხეთში, თურქეთსა და პრაღაში გამართული საერთაშორისო გამოფენების მონაწილეა, შარმან კი სალომეს ერთი ნამუშევრი შეეცარის ქალაქ ლოზანაში გაიგზავნა.

## ცოტი მარცხის „პატ მალევაში“

„ძელმა გალერეამ“ ორ ნორჩ მხატვარს - ბავშვთა შემოქმედებითი სტუდია „ფავორიტის“ აღსაზრდელებს, 8 წლის სალომე ქათამაძეს და 9 წლის ელენე ქარსელაძეს უმასხინდლა. საგამოფენო დარბაზში სალომეს და ელენეს ორმოცამდე ფერწერული ნამუშევრი და მათივე ნახელავი ნაძერწი სუენირები იყო გამოფენილი. გამოფენის გახსნას ძირითადად პატარა მხატვრების თანატოლი გოგო-ბიჭები დაქსწრენენ და სალომე და ელენე თვითონ ათვალიერებინებდნენ მათ საკუთარ ნახატებს.

ამ პერსონალურ გამოფენაზე ორივე მხატვარს არა ერთ კონკურსსა თუ გამოფენაში აქვს მიღებული მონაწილეობა. შარმანწინ UNICEF-ის მიერ ჩატარებულ წიგნის ილუსტრაციის კონკურსში ელენე ქარსელაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიის ჯილდო დაიმსახურა, იმავე 2001 წელს მან ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის გამოფენაზეც წარადგინა თავისი ნამუშევრები და სიგელით დაჯილდოვდა, შარმან კი ელენე თურქეთის ქალაქ დიდიმში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა. არანაკლები წარმატებები აქვს ელენეზე ოდნავ უცცროს სალომესაც. იგი ჩეხეთში, თურქეთსა და პრაღაში გამართული საერთაშორისო გამოფენების მონაწილეა, შარმან კი სალომეს ერთი ნამუშევრი შეეცარის ქალაქ ლოზანაში გაიგზავნა.



# მასნიცელობრივი კაცობრივი მეცნიერებების იმპერიუმი

**შერნალის ხუმარია თბილისის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის 155-ე სამუალო ჰკოდა.**  
**წარმოიდგენთ დირექტორი: სარდილო მარატ მაშავერიაშვილი, დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის 87-ე სკოლის ორგანიზაციონად, 179-ე, 180-ე სკოლების დირექტორიად. 1998 წლიდან 155-ე სკოლის დირექტორიად.**

-ძალის სარდილო, დაგვეთან მხებით, რომ ჩვენს სკოლებში მაყაცი პედაგოგები, მათ უმეტეს, ჰუმანიტარული საგნის მასნიცელებლები, დადა იმპაտობა, თქვენ კი თავიდანვე მასნიცელებლებისა უკიდურესად, მასიც რომ განამორინდა თქვენი არჩევანი?

-მე თბილისის 25-ე სკოლა მაქსი დამთავრებული და ისეთი კარგი, საგნის მცოდნე, განათლებული, კითოლმობილი, კულისხმიერი, სიკეთითია და სიცარულით აღსასე მასნიცელებლები მყვადა, რომ კულებულები მისაბამ აღმიანებად მესახებინენ. როცა ჩემის კოფილმა კლასის დამრიგებელმა გაიგო, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ჩაგდარე, სულაც არ გაკევრებია და მითხრა, მე ყოველთვის ვიცოდი, რომ შენ ასე თუ ისე მასნიცელებლებას აირჩევდი. დღესაც არ ვიცი, რის საფუძველზე გამოიტანა მან თავის დროის ასეთი დასკვნა, ფუტტია, რომ არც კი მიყოფანია. ისე შევადე პედაგოგიური ინსტიტუტის კარი. რა ვიცი, ცელები კი ვიყავი, მაგრამ ძალიან მიყვარდა წიგნები, ბეკის ვკითხულები (ამაში დედაქმების დიდი დამსახურებაცა) და სურველი მქონდა სხევებისფასაც გამტიანებინა ჩემი ცოდნა, სულ კულებორი მეცნიერებამასნიცელებები მყვადა ინსტიტუტიც, მათ მხოლოდ არჩეული საგნის - რუსული ენისა და ლიტერატურის ცოდნა კი არ გამოირმავს, არამედ მასნიცელებსა და შევაკარს აჩვეული სპეციალისა - პედაგოგის, მასნიცელებლებად და მე უზრომი მაღლიერი ვარ კულება მოთხოვს. ქართულის ერთად ძალიან მიყვარდა და მიყვარა რუსული დატერატურა. პუშკინი, ლერმონტოვი, ტრილტიო, ლოსტოვესკი, ჩეხოვი, გრგოლი, ტურგენევი, ბუნისი ბერი სხვა დიდი პეტები, ბუნებრაზი ჩერნილები არიან და კულება მეტანალებად განათლებულ აღმიანის აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარისხული მათი ნაწილობები. მე ჩემს შეიღებაც ვუწერებად ამას და კუველთვის კვდილობა, ჩემი მოსწავლებიც დავარწინო ამაში.

-მოსწავლეთა თქვენდამი დამუკიდებულებაში უფრო რას გრძნობთ - სიცარულს, შიშის, პატივისცემას... ან იქნებ ანტიათასა?

-როგორ გითხრათ... ალბათ, უფრო რიდს, პატივისცემას... ყველთვის კვდილობ ვიყო თბილებური, კიბრუნო მოსწავლეთა ინტერესების დაცვაშე შევუქმნა მაქსიმალური პირობები ღრმა და მარავალმხრივი ცოდნის შესაძნად, ცხოვრების დიდ გზები გასასვლელად მეცნიერების სამსახურისთვის მოვაწავდო ისინი და ალბათ, ჩემდამი დამუკიდებულებას იმის მიხედვით გამოიმუშავებნ, თუ როგორ აფასებნ ამ ჩემს ძალის სხმეეს.

-მასნიცელებლებზე რას იტენდით, მათ თქვენდამი დამუკიდებულებას როგორ შეაფასებდით?

-ალბათ უფრო მართებული იქნებოდა, თუ ამაზე თავად მათ პირხავით. ერთის თქმა კი უყიფმანოდ შემძლია - როცა ამ სკოლაში გამომგეხენს, ცხადია, კულებადი, მათ უმეტეს. რომ ჩემი დანიშნუა მასის თვეში შედა, სასწავლო წელი იწურებოდა, წინ გამოცდები იყო და ა.შ. მაგრამ მთელი პედაგოლოგეტით ისე თბილად, ისეთი კულისხმიერებით და გაგებით შეძვდა, რომ უმაღ მომექა გულშე, უძრიბლებოდ გამუგეთ ერთობის და ამისათვის კულა ჩენი მასნიცელებლის

მაღლობელი ვარ.

საერთოდ, სკოლაში ძალიან კარგი, პროფესიონალი, საგნის მცოდნე, საქმის ერთგული, ბაჟევების მოყვარული პედაგოგების ბირთვი, ერთ მუშტად შეკრული თანამოსწრეო გუნდი გვყავს. რომელიც ერთი დაგისახელოთ, ავილოთ თუნდაც ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგარითანაბის ხელმძღვანელი მარიყა გელაშვილი, ამავე საგნის მასნიცელებელი ნინო კობახიძე, ლალი გელაშვილი, ლაურა ჭანტურია, ნანა შალაშერიძე, ნინო მარიქებეგი, უნდა გითხრათ, რომ ძალის ძლიერი ქართული ენის მასწავლებლები გვკავს და ეს ასეც უნდა იყოს - ფოველმა აღმაიანმა, მეტადრე დამრეკადებელ ქვეყანაში, უწინანარეს ფოველისა მშობლოւრი ენა უნდა იცოდეს საფუძვლიანად და მერე ფოველივე დანარჩენის. ამასთ 155-ე სკოლა ჩენინა კლასებოსს, ქართული ენის დიდი მამაგის კონსტანტინე გამსახურდის სახელს ატარებს, ეს კი მაღაზე ბეკის გავალებს სკოლაში ერთ-ერთი მთავარი რგოლი უსური დაწებითი კულასმა, მოგებესებათ - სწორედ სწავლა-აღწმებს პირველ წლებში, I-IV კლასებში ფალიბელებს ის ხერხმალი, რომელზეც უნდა აგორს შეძლებოში თითოეულის პოროვნება, სამაყითა და ქაფიფილებით მინდა გითხრათ, რომ სკოლაში ძალის ძალადი დონის დაწებითი კულასმას მასნიცელებლები გვკავს (ამ რგოლს დაწებითი კლასების სასწავლო ნაწილის გამგე ჭ-ნი ლეილა კონტექსტი ხელმძღვანელობს). ასევე ძალის ძლიერებით არას ჩენი ისტორიულობებიც ვიყავ გავუ, ნანა კენაძე, სკოლაში ახლადმოსული თიხვეო აღანაა...

-უფრო რომელი თაობის მასნიცელებლები ჭარბობები ჰედონურია?

ველა ასაკის მასწავლებლები გვკავს - გამოცდილი, მრავალწლიანი სტაუსის შეწინებიც არაან, საშუალო ასაკის წარმომადგენლებიც და სულ ახალგაზრდებიც და კულება მათგანს საერთო მიზანი ამოძრავებს. ამიტომაც სიამოგნებით ეხმარებათ, ესწრებიან ერთმანეთის გაცემილებს, უსმენენ ერთმანეთის, ხელმძღვანელ ერთმანეთის შეწინებებს. განსაუკირდებით სასარგებლობა ასეთი პრაქტიკა ახალგაზრდა მასწავლებლებისთვის. შეიძლება უძალდები ბრწყინვალე სტუდენტი იყოს, დიდი თუორიული ცოდნაც ჰქონდეს, მაგრამ რეალურად პრაქტიკაში გაუჭირდეს ფოველივე ამის გამოყენება და კლასში შესული პრობლემები შევექმნას. ამიტომაც არას თაობათ ცოდნა-გამოცდილების ამგვარი შეწინება ურთიერთსასარგებლო და ნაფოფიერი.

-ძალის სარდილო, ზევით კი ვთქვით, რომ ჩვენს სკოლებში მაყაცი მასწავლებლების ნაკლებობა, მაგრამ მოღით გავაგრძელოთ ამ სკოთხე საუბარი.

-კი, ბატონო, სიამოგნებით. მე იმ ჩერისა კარ, რომ ზოგადად სკოლას ძალიან სჭირდება მამაკაცი. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მამაკაცი იშვათად მიღიან სკოლაში მასწავლებლად და თუ მიღიან დადგისას არ ჩერდებან, დაბალი ანჩხაურება. თავად განსაჯეთ - მამაკაცი ზემო და ბაჟევების სიკლებში ისე ეს შეუძლებელია და თუ არა პროფესიის უდიდეს ერთგულება და ბაჟევების სიკლებში ის თითო-

გაგრძელება მე-4 გვ.

ორთქლა მაბაცა მასწავლებელიც აღარ იქნადა. ღვთის წყალით, ჩვენს პედაგოგიკური ვებ გვავს რაძენიბი მაბაცაც და ფელანა-ირა დადილომთ ხელი შეკუჭორ მათ, გავუ-ურისიბლეთ (თუმჯო ფუძნიერებული - უიზუა, ტრისტან კილასინა - მათმატია დავთ გვ-ლაშვილი - სამხედრო საქმე), ისინც გრძებენ და აფასებენ ამგარ დამუკიდებულებას და კოველდღური საქმიანობით გვამტკაცებენ, რომ მოსწავლებისა და კოლეგების დაღატს არ აპირებენ.

უანათლების სისტემაში მიძინარე რე-ფორმების ჩარჩოებში მასწავლებლებს ნებ-ხელ უუმჯობესებებათ მატერიალური ძღვო-მართობა, ასე არ არის?

-კი, ასე გახდავთ, მაგრამ ჩემი მხრით, ჩვენში მასწავლებლის მმარტ შრომა ჯერჯე-რობით მაინც სათანადო არ ფასდება, მასწა-ვლებელი გაცილებით მეტ პატივისცემას, მეტ ფურადებას იმსახურებს.

მასწავლებელი მსახიობითია, ოლონდ იძგასხვავებით, რომ მსახიობი დღეში ერთხელ (ისიც არა კოველდღური) გამოიდის სცენში, მა-სწავლებელი კი გამტკიცებოთ ცცკნჩეა. იგი დღეში 4-5-6 გავეთილს ატარებს და გარდა იმისა, რომ მოსწავლებს უნდა გამოკითხოს, მერე ახალი მსახალა უქსნს და ფოვლივე ეს აზხრის ელემენტების ჩართვით უნდა აკეთოს, ფოვ-ლოვის ჩატანის, გემოვნების, კარგი მანერების ნიმუშიც უნდა იყოს. სამწუხაროდ, ისეთი დრო დადგა, რომ ვაკელა ვერ ახერხებს კარგად ჩა-ცალა-დახურუს, მაგრამ ეს უფლება არ აძლევს მათ მოუწესრიგებლება, დაუყოვნად და უგე-მოვნოდ ჩაცმულება, ნერვულმოლიდები, გაღი-ზანებულება შევიდნენ კლასში. მოგეხსენებათ, ბაჟების თვალი და კონტა კველავერს ამნინებს და ჩევწენ უფრო გამამარტებულად აღიქვამს და მასწავლებლით განხილვა მათვის ყოველთვის ძალშე მტკიცნეულია ხოლო.

რაც შექება რეფორმს, ქვები, ცხადა, არის, თუნდაც იგივე შრომის ანზღაურების, სკოლებისთვის აეტონომის მიზნების თვალია-ზრისით, მაგრამ საქრთო მდგრამარება ისე-

თავა, რომ ამ პროცესების დაწე-რება სახიცოცხლო მნიშვნელო-ბას იძენს. თუმცა, აქვე ისიც მი-ნდა გოთხავა, რომ მე მხოლოდ განვითარების, ერთი სისტემიდან მეორეშე გადასვლის ეკოლუცი-ური და არ რეფოლუციური გზის მომზრე ვარ.

-ამ სკოლის დარეგულირო-ბამდევ რა გზა გამოიარეთ?

-25-ე სკოლის რვა კლასის შემდეგ მანქანამშენებლის ტ-ქენიუმ დავამოავრცე, ერთხსნის კო-როვის სახელისის ჩარჩოშენებულ ქარხაში, სკოლასტრუქტორი ბი-



ოცარი წესრიგი და სიუფლავე დერეფნე-ბის მოხატული კედლებიც უკვეულოდ ხედება თვალს. კინ ძალისხმევით აღწევთ ამას?


-საუკუთარ ქონებას ჭყალაზი უუფრთხილდებით - მოსწავლებიც, მასწავლებლებიც, და-მლაგებლებიც გვავს. კედლების მოხატვის იდეა მე მეურუნის, ხორცი კი მას ჩვენი შრომის მასწავლებელმა აყა გოქსაძემ შეასხა. მიმა-ჩნია, რომ სკოლის შენობა - დერეფნები იქნება, სკოლას როსხები, თუ კაბინეტები უფრო ლა-მზად, ხალისანად უნდა გამოიყერებოდეს, სკოლა ფიზიკის არ უნდა პჰავდეს. კედლების მოსახატად სიუფლები ბავშვების სურვილით შევარჩიეთ - საქართველოს ხედები, ისტორი-ული და ხუროთმიძღვრული ძეგლები და სხვა.

მინდა გოთხავა, რომ ვეგლავერს ერთო-ბლივი ძალისხმევით ვაკეთები, და სერთო-დაც, ვრცც ერთი სკოლის დარეგულირი, რაც არ უნდა გმოცდილი პროფესიონალუც უნდა იყოს. ვერავრის გახდება, თუ მოედა ჰელვო-გირი კოლექტივის თანადგომა არ აქვს, ამ თვალისაზრისით მასწავლებლების სახით მე სა-იმდელ და წითელული დასაჭრები მაქს, ფოვ-ლოვის მხარის მდგრამან ჩემი მოაღილეობა - მანა გორგაძე (პირველი მოაღილე და ქ-მის მასწავლებელი, ლეილა კოტუმაძე (დაწე-ბითი კლასი), გულიფი ხელდაბე (ორგანიზა-ტორი, სკოლისგარეუქე და კოლეგარეუქე მუშა-ობა), აიგვნო ბარაბაზი (სამწავლო-აღმზრდე-ლობითი დარგი), გველანი, მოედი პედაგო-გური კოლექტივი ერთი სულისყველებით ვირკე-ბით, მაღალი ასექციისგანმოთ ვემახურე-ბით მოძვლილ თაობის აზრიდა - განათლების სამსახურის გამო მუშაობას თავი დაგა-ნებე და გარკვეული ხნით თბილისიდან გასული ფიტო. ღვიას წყალითი, კუ-ლაურითი კიოდა დამთავრდა, მაგრამ თბილისში დაბრუნებულს სამშაო უნდა მექინა. თამას ნაცვლიშევით და გუ-რამ თავანის ქილომეტრების ანგარიშით გაუწიეს და ჯერ საღამოს სკოლაში გამტბავნეს დირექტორად, 1998 წლის 2 მაისს კი 155-ე სკოლის დირექტორად დავინი-შნე და როგორც ხედავთ, დღესაც აქ კუ-შემაობა.

-ძატონო სარდიონ, თქვენი სკო-ლის შენობაში ფეხის შემოღმისთა-ნაკე აღამანს თვალში ეცემა სა-



ხელმისაწვდომი მოქალაქეების, ქრისტენი ცნობი-ერების და ეკოლუციული განათლების ახალგაზრდე-ბის აზრიდა გვაქს დასახული.



ფერდებჩავარდნილმა ჩალისფერმა ფაშატმა ყურები ცქიტა, ბალახს თავი ანება, კისერი წაიგრძელა და დამრეცი მინდორი ზევამდე მოათვალიერა. მერე მთის ძირს გახედა, სადაც წამოხურული კლდე ეგულებოდა, და იქაც რომ ვერაფერი დაინახა, ისე მჭახედ დაიჭიბვინა, გეგონებოდა, სადღაც ახლოს ცამ დაიქუხაო.

ხევიდან, რომელშიც ღელე მოწანწერებდა, ნისლისფერმა კეიცმა ამოყო თავი, ღედას ჭიხვინით უპასუხა, მაგრამ ეს ჭიხვინი რომ ვინმეს გაეგონა, გაეცინებოდა, აქაოდა, მეც ცხენი ვარო. კვიცი

# კვიცი ეს გალი

## ორის იოსელიანი

მოთხოვა

ხევისპირა ფლატეზე ყვავილებში ჩაფენილ მწვანე, მაღალ ბალახს წიწვიდა და მის თვალწინ უშველებელი, ჭრელი პეპელა დასაჯდომად ყვავილებს ირჩევდა. კვიცმა ამ პეპელას ჩამოსდია ხევში და ახლა ფლატის მიტოვებას არ აპირებდა.

ფაშატმა გულმოსულად ჩაინვიხვინა.

პეპელა ბაბუაწვერას ახლოს ეკლიან ბალახის ფუნქულა, წითელ ყვავილზე დაჯდა და ფრთხი ზურგზე ისე შეიტყუპა, თითქოს ცალი ფრთით მოფრინდაო. კვიცმა ერთი სული ჰქონდა, მიკპაროდა ამ ხატულას, დაექნოსა. ეგონა, ასე საოცრად ლამაზს სუნიც რადაც საკვირველი ექნებოდა.

მაღლიდან ისევ მოისმა ხვიხვინი და კვიცმა ისევ ასწია თავი, მწვანე ფერდობს გახედა, არაფრით არ ეთმობოდა ფლატე, მაგრამ ჭავა მიწას ტორი დაჭრა.

კვიცმა ჯიუტად გაიქნია გრძელი კისერი, პეპელასთან მიირბინა, მაგრამ იგი თვალსა და ხელს შეა გაუსხლტა. ხელმოცარული მოცხარის ბუჩქებს გაეხახუნა და ზევით ამოჭენდა.

ჭავა ბალახის ძოვა განაგრძო.

კვიცს პატრონის ვაჟი ქურანას ეძახდა. ქურანა მთლად მოლილისფრო-ნისლისფერია, მოლურჯო ფაფარი და კუდი აქვს. ულამაზო კვიცი აბა ვის გაუგონია, მაგრამ ქურანას ვინც კი დაინახავს, არ შეიძლება არ შეჩერდეს, თვალი არ გაახაროს. პო, თვალზე გამახსენდა, ქურანას თაფლისფერი, მწიფე ქლიავივით, დაბინდული კი არა, ხასხასა თვალები აქვს, მომავო დრუნხი და ქვიქირი.

ქურანა მთლად მამის ფერისაა და მამასავით კისრის უკან გადაგდება, თავის მობრუნება და ჯიშიანი მეტრდით წინწამოწევულს ჯირითი უვარს. კვიცს ძალიან ეამაყება, რომ მამას პგავს. და თუ ღედა მწერალად დაუჭიხვინებს, როცა თვალთაბან დაეკარგება და მერე გაჯიუტებული შვილის დასათრებუნავად მიწას ტორს დაპკრავს, ქურანა ღედისკენ წამოვა, მაგრამ თავისთვის კი გაიფიქრებს: რას მიბაკუნებს ფეხს, მე ხომ მას სულაც არ ვგავარო. ფაშატი ამ დროს ძირში კვნეტს ბალახს და ფრუტუნებს.

კვიცი ჯვარედინად სერავს მწვანე ფერდობს, კორტოხის თავზე ავარდება, იქიდან მთისკენ დაეშვება, გადმოხურული კლდის ძირამდე ირბენს, იმას იქითაც უნდა შეუხვიოს, შეხვევა კი არა.. იგი მიიხედ-მოიხედავს და ძალიან საიდუმლოდ გაიფიქრებს: - მთაზე ასვლაც უნდა, მაგრამ ეს რომ ღედამ გაიგოს, ცის რისხვასავით დაიქუხებს. გულგატებილი ქურანა ხევისკენ მითოხარისებს, ფლატეს გადაჭყურებს, მაგრამ იქ პეპელა აღარ ჩანს. სამაგიროდ, ღელის პირზე თოხიტარა ჩიტი ქექავს ქვიშას, ცმუკავს. ქურანას უნდა დაღმართი ჩაირბინოს, წყლამდე ჩავიდეს და ჩიტს ჰყითხოს,

გაგრძელება მე-6 გვ.

სად გაქრა პეპელა, მაგრამ იცის, ამისთვის ისევ ფეხს დაუბაუნებენ და გაგულისებული სცილდება იქაურობას. თოხიტარაზე სწყდება გული. ეს ჩიტი ფერითაც ჩამოჰგავს ქურანას და მოუსვენრობითაც.

დაღლილ კვიცს რომ რძე მოუნდება, მაშინვე გული მოულდება დედაზე და ფიქრობს, რომ ის დედასაც ჰგავს, თუ მეტი არაფრით, დრუნჩით და ქვიქვირით მაინც.

დანაყრებული ქურანა მწვანე მინდორზე გორაობს გულაღმა, ზურგს ბალახებზე იფხანს, მერე წვება, თვლემს და ესმის, როგორ გლეჯს დედა ძირში ბალახს, დედა, როგორსაც ოდნავ ჩამოჰგავს ქურანა.

„ცხენისთვის წოლა შეუფერებელია“, – ფრუტუნებს ფაშატი.

კვიცი თავსაც მიწაზე დებს, ლოფას ბალახებზე უსვამს და ფიქრობს: „მე ალბათ მხოლოდ მამანებს ვგავარ“. თვალებს ლულავს და ახსენდება, იმ უშველებელმა და მშვენიერმა პეპელამ როგორ შეატყუპა ფრთები ისე, რომ გეგონებოდა ცალი ფრთით მოფრინდაო, მაგრამ დედა განა გაცლის, რომ ხეირიანად გაიგო მართლა ცალი ფრთით მოფრინდა თუ არა? თოხიტარასთან მიახლოებაც კი არ შეგიძლია, იმიტომ რომ ხევში ჩასვლის ნება არა გაქს და მთის იქით რა ხდება, ამასაც ვერ დაინახავ. არადა, ფლატეზე მაღალი ყვავილები იზრდება, აგრ ქურანას წვივებზეც აჩნია ოქროსფერი ბაიების ყვითელი მტვერი, და პეპლებიც იქ ირევიან.

კვიცს დაბინდებისთანავე ჩაეძინა და, როცა დათაფლული, ხასხასა, ქლიავისფერი თვალები გაახილა, უშველებელი მთვარე ამოსულიყო. მინდორზე ნამი გაეგდო და ციოდა. ჭაკი მალი-მალ იღებდა თავს მაღლა, ფრუტუნებდა და მერე ისევ ძილში ბდებით ბალახს.

„ახლა მაინც რიღასთვის ფრუტუნებს, – უკვირს ქურანას, – ახლა მაინც აგრ, მის ცხვირწინ ვწევარ, დედას რაღაც ეჩვენება, მოლანდებები აქვს“...

ფაშატს კვიცის ახლოს გადაეძოვა მინდორი, ახლაც იქვე, უკვე ძირზე გადაჭმულ ბალახს ჩასციებოდა.

„ვითომდა რაო, ცოტა წინ რომ წაიწიოს და მოიბალახოს, მე მარტოს შემეშინდება? არაფერიც, მე სულ მამას ვგავარ“.

კვიცი წამოდგა, მაღალ წვივებზე აიმართა, შეციებულს ერთი კი გააძაგძაგა და ნაბიჯი გადადგა.

„ცოტა უნდა გავიქც-გამოვიქცე, გავთბები. გარდა ამისა, დედაჩემა ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოს, რომ მე ღამითაც არ მეშინა. ის კი დღითაც არ მიშორებს თვალთაგან და ისეთი მშვენი-

ერი, დიდი, ფრთახატულა დაგვარგე... ისე პეპელა ისე ჩამრჩა გულში, თითქოს ჩემი კოფილიყო, ხეტავ რას დავუჯერე, მაშინვე მიგატოვე ფლატენეტავ კარგად დამეძებნა, იქნებ მეპოვნა და ერთხელ მაინც დამეენოსა“.

ქურანამ ისევ სასაცილოდ დაიჭიბვინა, კისერი მამასავით გადაიგდო, თავი გვერდზე მიაბრუნა, მკერდი წინ წასწია და გაჭენდა.

ფაშატმა კურები ცქიტა და დაიფრუტუნა: ამ შუაღამისას რა გაჭიბვინებსო.

„საოცარია – გაუკვირდა კვიცს – აბა რა, ვიგალობო? ბოლოს და ბოლოს, მე ცხენი ვარ თუ ჩიტი! დედაჩემს, ეტყობა, არ სიამოვნებს, რომ მე მამას ვგავარ“. – ისევ სასაცილოდ დაიჭიბვინა და გაიჯირითა.

ჭაკმა მიწას ტორი დაპერა. დაპერა უფრო ფრთხილად ვიდრე ამას დღისით აკეთებდა, მაგრამ უფრო მუქარით და გამაფრთხილებლად.

„ნეტავ რა უნდა ვქნა, ძაღლივით კუდზე ხომ არ უნდა დავჯდე და ვიყეფო?“

ამ დროს ციცინათელა გამოჩნდა.

„რა მშვენიერია! – ქლიავივით თვალები გაუნათდა ქურანას და უკან გამოუდგა. ციცინათელა გაანათებს, ჩაქრება, გაანათებს, ჩაქრება. „აი, ეს რომ დავიჭირო, – ფიქრობს კვიცი – ცხვირის ნესტომი რომ შევინახო, ან კურში და ხვალ ფლატეზე ხატულა პეპელას მივუყვანო, უთუოდ მომცემს ნებას დავვნოსო. ის ისეთი დახატულია, ალბათ მთლად დამათრობელი სუნი ექნება. ციცინათელა უნდა დავიჭირო, ცხვირში შევინახავ და დიღამდე ცალი ნესტოთი ვისუნთქებ. სამაგიეროდ, ხვალ ხატულა ორივე ფრთას გამიშლის და მე დავვნოსავ. რაც მართალია მართალია, მე მთლად მამას ვგავარ“.

ციცინათელა მიფრინავს, ანათებს, ჩაქრება, ანათებს და მისდევს კვიცი: ციცინათელა არასოდეს არ ეყოლება ნანახი ხატულა პეპელას. ის დამე არ გამოდის და როგორ გაუკვირდება, რომ მივუყვან. ორივე ფრთას გამლის, როგორც თვალხუჭუნა ყვავილი, და მე ერთბაშად შევისუნთქავ, რაც ქეეგანაზე ყვავილია, ყველას სუნს... ფაშატმა ჩაიფრუტუნა.

„ღამით დედა არ ჭიბვინებს, მშიშარაა. მე კი მამას ვგავარ, გულადი ვარ... ამას გარდა, არაფერს არ ვაშავებ. ციცინათელა მინდა დავიჭირო და ხვალ...“

მინდვრის ბოლოში, ხევის პირზე, ორმა დიდმა, ძალიან დიდმა ციცინათელამ გაანათა, გაანათა და აღარ ჩაქრა.

„ეს უფრო დიდი საოცრებაა. ეს მეც ძალიან მომწონს!“ – ქურანა ჩირაღდნისაკენ გაეშურა.

რის ციცინათელა! ხევის პირზე თვალებანთე-

ედევნა.

ძაღლმა ყურები დაცევიტა და გაიღურსა, თვალები კიდევ უფრო აენთო.

„ჩავიფრუტუნე, მეტი ხომ არაფერი დამიშავებია?! – გაუკვირდა ქურანა. – აბა ხომ არ უნდა დავიღრინო და კბილები გამოვაჩინო?“..

მინდვრიდან ჭავის ფრთხილი ხვიხვინი მოისმა: მანდ რა საქმე გაიჩინეო.

კვიცმა იფიქრა: „მოდი ახლა არ დავუჯერებ და მე და ძაღლი ციცინათელას დავიჭერთ. ეს სადმე კვიცს გადავევაროთ. ძალიან კარგი, დედა



ნაგაზთან თამაშს მაინც ვერ დამიშლის, პირიქით, გული იმედიანადაც კი ექნება. რა ჰქნას, დედაა. დედის გული სხვაა. მე ცოტათი დედასაც ხომ ვგავარ?“

ძაღლი სულ ახლოს მოვიდა და ჩაცუცქდა.

„თვალები მეტისმეტად უბრიალებს. აღბათ გაუხარდა, რაც შევხვდი, კუდისაც აქიცინებს და ნერწევს ელაპავს. მან ხომ არ იცოდა, რომ აქ მნახავდა? მოულოდნელი სიხარული მნელია“.

ძაღლმა ქურანას ირგვლივ შემოუარა, პაერი დაეხოსა, კვიცს მიეღაქუცა. მთლად ძაღლივით ვერ გამოუვიდა. მერე ხევისკენ წაიწია და შეჩრდა: აქეთ წამოდი, დელის პირზე ვითამაშოთ.

კვიცმა დაიფრუტუნა: რატომაც არაო, და და-

ხვალ დილით ფრთხატულას მივუყვანო...“

კვიცი მინდორში გაიქცა: აქეთ მომევე, ჯერ ციცინათელა დავიჭიროთ.

ძაღლი მობრუნდა, კბილები გამოაჩინა, თვალები მთლად ნაკერცხლებივით გაუხდა და გულმოსულმა ჩაიყმუვლა.

კვიცს შეაძაგავა. ასეთი ხმა პატრონის ნაგაზისგან არ გაუგონია, მაგრამ არ შეჩერებულა.

„რა ვუყოთ, ძაღლი ხან იყეფებს, ხან...“

ამ დროს ფერდობზე ისეთი გამაყრუებელი ჭიხვინი ატყდა და ისეთი თქარათქური მოისმა, კვიცს ეგონა, გაშვებული ცხენების მთელი რემა ჩემქნ დაიძრაო.

„რა უბედური ვარ, ძა-

გაგრძელება მე-8 გვ.

ღლთან რომ ვითამაშო, ამის ნებაც არა მაქვს. და შვილი მთისკენ წაათრია.

დედახემს არ ვუფვარვარ, ალბათ მამას რომ ვგავარ იმიტომ“.

ფაშატი გულგახეთქილი ჭიხვინებდა და მისი ტორების ბათქისაგან მიწაც ზანზარებდა.

„ვაიმე! – აკანგალდა ქურანა. გაქცევა დაპირა.


– ახლა დედას ხელში რომ ჩავუვარდე, ვეღარ გადავურჩები, გავიქცევი ამ ძალლთან ერთად, ხვალ ორივე ფრთახატულას ვიპოვნით და ამ არემარებე სულ არ გამოვჩნდები. ასე ფეხებშეკრული სიცოცხლე არ შემიძლია“.

ქურანამ სამი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწორო, რომ თავშე ძერასავით დააფრინდა ფაშატი და კბილები კისერში სტაცა. წიწილასავით აიტაცა. დასცხო და დასცხო მიწას ტორები. ერთ წამში მოჯეგა იქაურობა. ქურანას კი კისერი თითქმის სულ მოაჭამა.

„რისთვის, თუ არა კი, რისთვის. ძაღლთან თამაშისთვის ვძულვარ დედახემს ასე? ჩემი ბრალი ხომ არაა, რომ მამას ვგავარ. მამახემიც სძულს, მთელი საცხენეთი და საძაღლეთი, პეპლები და ციცინათელები. არაფერი არ უყვარს. რა უბე-დური ვარ, მგრნი შეჭმასაც მიპირებს“.

კვიცმა გულსაკლავად დაიჭიხვინა და თვალები ქლიავივით დაებინდა. მერე მთვარის სინათლეზე ცრემლები ციცინათელებივით აუციციმდა.

„...გამიშვი!“ – დაიჭიხვინა ისევ გულსაკლავად კვიცმა და გაიწია, მაგრამ დედამ კბილი კიდევ უფრო ღრმად, კისრის ძვლამდე მოავლო და დატრიალდა. ფლოქვებით სულ გადათხარა ბალახი



„დავიღუპე! – აფრუტუნდა გულამოგლეჭილი ქურანა. – იქ, გადმოხურულ კლდესთან, მიძი-

ვანს და შემჭამს. მშვიდობით, ნოხივით გაგებულო, ყვავილებით მოჩითულო, მწვანე მინდორო, დედახემის რძესავით მსუე და ბარაქიანო. მშვიდობით, მაღალო კორტოხო. მშვიდობით, მთაო, სულ რომ ვცდილობდი მუხლი გამემაგრებინა, შენს კენწეროზე ამოვსულიყავ და მზე ახლოს მენახა. მშვიდობით, ხევო და ფლატევ, ბოლოქანეალავ და ფრთახატულა პეპლება. ნეტავ ერთხელ მაინც დამეცნოსა შენთვის, ასეთ თაიგულივით ლამაზო. შენ მე კი არა, ჩემი ძვლებიც ვერ დაგივიწყებენ. მოდით ერთხელ ამ გადმოხურული კლდის ძირას და, ვიცი შენ ყვავილების მეტი არაფერი გწამს, მაგრამ ერთხელ, შენს სიცოცხლეში ერთხელ, ჩემს ძვლებზეც ჩამოჯექი...“

კვიცმა იგრძნო, რომ თავი ლოდს მიახალა კლდის ძირში და თვალთ დაუბნელდა...

არ გაუგია რა დრომ გაიარა. როცა მოსული-ერდა, ამაზრხენი ემუილი და გავეშებული დედის სახარელი ქშენა მოესმა. ფაშატი სცემდა და სცემდა წიხლებს მიწას და ჰაერს, მთას და მთვარეს, როცა კვლავ მოისმა გაბმული ემუილი, კვიცმა გაიფიქრა: „მე ალბათ უკვე ძვლები ვარ, ლოდებზე დაყრილი ძვლები. მგლების ხროვა მასევია და ჩემს უმწიფარ, თოთო ძვლებს ხრავენ და ემუიან“.

სიცოცხლეზე გული არ დაწყვეტია. გული დაწყდა ძვლებზე. ერთი დღე მაინც ეცლიათ, იქნებ ფრთახატულას გამოევლო, მას სისხლი და მძორი არ უყვარს, მაგრამ იქნებ ერთხელ, მის სიცოცხლეში ერთხელ, ძვლებზეც ჩამოჯდარიყო...

როგორც კი ინათა და დაოსებული, გაწილებული მგელი ტყისკენ წამუნბულდა, ფაშატს კოდევ დიდხანს ეჭირა კბილით შვილი და მთელი სხეულით ძაგაგებდა. მერე ქვედა ყბა ერთბაშად ჩამოუვარდა და ჩაიკეცა.

მზე რომ ამოვიდა, ცხენისთვის შეუფერებლად მწოლიარე ფაშატს კვიცი თავზე ადგა. დედის კბილებისაგან კისერზე გადენილ სისხლს და ჭავის გავაზე მგლის ნაკბილარს ბუზი ეხვია.

ქურანა ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. მან გუშინდღამდე იცოდა, რომ სულ მამის ალი და კვალია და ქვეფნად იყო დედა, მწვანე ბალახი, ფვავილები, თოხიტარები და პეპლები, ციცინათელები და ფრთახატულა პეპლება.

ქურანას ჰყავდა მეგობარი ნაგაზი, რომელიც სანდო და გამტანია. ფურმოკრული პქონდა მგელზე, მაგრამ არ იცნობდა და არც იცოდა ძალისა და მგლის გარჩევა.

დღეიდან კი კვიცი იცნობდა მგელს.



### ... სვანეთი

მზე იღვენთება ოქროსფერ მდინარედ,  
მთაში ნაძვები სანთლებად ანთია,  
ენგური შრიალით ტალღას ქვებს დაატეხს  
და წამით დუმილით შეხვდება განთიადს.

კალაპოტს გუგუნით მოარღვევს ენგური,  
მთებს ეხეთქება, რაღაცას ევედრება,  
აქ რომ მოიმწყვდიეს იმიტომ ემდურის,  
ამ თხოვნას ვერცერთი თხოვნა შეეძრება.

სიო სათიბებს ჩურჩულით მოივლის,  
მინდორში ველური გვირილა ირწევა,  
ფაყაჩო მზის სხივებს თავისთვის მიითვლის,—  
აქ ყველა ჭვავილი მზისაკენ იწევა.

ციცაბო კლდეებშია ქალღმერთი დალი,—  
მფარველი ცხოველთა, ფრინველთა, ტყეების...  
ქვაზე თმას ივარცხნის გრძნეული ალი,  
სულაც არ აშინებს სალი კლდეები.

ჩანჩქერი მარგალიტად მთებზე ჰყიდია,  
ირემი ფიროსმანმა დახატა თითქოს...  
ისეთი თვალებით გიყურებს, გგონია,  
მართლა ფიროსმანის ნახატი იყოს.

\*\*\*

ჰაპვირის\* თავზე გატეხილი მთვარე ბოინობს,  
თეთრი ნისლები შესვიან უცნობ ლანდებად,  
ენგური მთიდან ირმებს ალბათ ისევ მოიხმობს...  
მოჯადოებულს, ტყეში დალი მომელანდება,



თამარ თოღუა თბილისის 128-ე საშალო სკოლის  
მეთექლასელია. იგი წარმატებით მონაწილეობს სხვა-  
დასხვა სახის ლიტერატურულ კონფერენციებსა თუ ოლი-  
მპიადებში, მიღებული აქვს მრავალი სიველი და დი-  
პლომი. შარმან თამარმა მონაწილეობა მიიღო საქართვე-  
ლოს საპატიოარქოს რადიო „ივერიას“ გადაცემაში ტაო-  
კლარჯეთზე, მახნავლებელთა დახელოვნების ინსტიტუ-  
ტში გამართულ ინგლისური ენის ოლიმპიადაში. ამჟამად  
იგი 2003 წლის ქართული ლიტერატურის კონფერენცი-  
ასა და ოლიმპიადაშია ჩართული.

თვალს ვეღარ მოვწყვეტ, გარინდული,  
გატეხილ მთვარეს;  
და ვეღარ ვიგრძნობ, რომ უჩუმრად  
დამაღამდება...

\* მთა სეანეთში

### ბოდბის მქსაჭრისია

ბოდბე. ნინოწმინდა.  
ბოდბის ეკლესია.  
ტაძარი უწმინდესი  
და უძველესია.

ტაძარში მყუდროებას  
არავინ არღვევს,  
ქარიც ბებერ ხეებს  
ჩურჩულით არხევს...

—აქ ხომ წმინდა ნინო  
იყო დავანილი.  
აქ იყურნებიან  
ნინოს წყლით დაბანილნი...

აქ ისე მშვიდია  
ეს წმიდა მიღამო...  
ინატრებ, დამლოცოს  
მე ნინოწმინდამო.

ბოდბის ექვეურსია  
—ასეთი ძვირფასი,  
ჩვენ ყველა მივდივართ,  
იქ, ნინოწმინდაში.

# აცხომლები – ეს პატარის „გეორგიები“

გურამ რამიშვილის საავტორო №6 სკოლაში ურევევად მისდევენ თავიდანვე დასახულ გებს და ცდილობენ არ უდალატონ მისი დამაარსებლის კონცეფციას და პრინციპებს, რომელთა თანახმად, სკოლის მიზანია აღუშარდოს სამშობლის ჭეშმარიტი პატრიოტები, ღირსეული განათლების წყალობით რომ შეძლებენ საერთო ენის გამონახვას, კულტურული დიალოგის გამართვას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებთან. ასეთი ენის გამონახვა და დიალოგის წარმოება ცეკვისა და სიმღერის მეშვეობითაც რომ შეიძლება, სკოლის ქართული ხალხური სიმღერის და ცეკვის ანსამბლმა „პატარა გეორგიებაც“ არა ერთხელ დაამტკიცა. სწორედ ეს ენა

საც.

ფოლკლორული ანსამბლის ყოველ გამოხვდას, საქართველოში იქნება ეს, თუ უცხოეთში, დიდი მოწონება და წარმატება სდევებს თან, ეს კი დიდი შრომის, მუდმივი შემოქმედებითი ძიების შედეგია. „პატარა გეორგიება“ ამ სახით ორი წლის წინ გოგონათა სიმღერის ანსამბლ „მზეთამზებს“ ხელმძღვანელი ნინო კალანდაძე და ბიჭების ანსამბლ „გეორგიებას“ გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა, მოცეკვავებს გელა და ხათუნა წოწორიები ხელმძღვანელობენ, მომღერლებს კი – დავით შანიძე და შალვა ლორთქიფანიძე. ეს ადამიანები მთელ სულსა და გულს, ცოლნას და გამოცდილებას აქსოვენ ბავშვებთან მუშაობაში, ამასთან მა-

შორის, ისე პროფესიონალ ხელოვნებათმცოდნებს, ქორეოგრაფებსა და მუსიკოსებს შორის. ანსამბლის შოველი გამოსვლა სრული ანშლაგით მიმდინარეობს. ასე იყო ოპერის თეატრში ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და პროპაგანდის ფონდის მიერ ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციული შესრულების მხარდასაჭერად მოწყობილ აქცია-კონცერტზე, ფრანგული სკოლების ბავშვთა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ოქროს ბატყანი“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში გამართულ საშობაო ღონისძიებაზე, ასეა სკოლაში სტუმრად მოსულ უცხოელთა საპატივსაცემოდ გამართულ კონცერტებზე... და ასე იქნება მუდამ და კვე-



„პატარა გეორგიება“ შვეიცარიაში

გამოადგათ შვეიცარიაში, სადაც რამიშვილის საავტორო სკოლის და საერთოდ საქართველოს მეგობრის, ქართული ხალხური მუსიკის მცოდნისა და დამფასებლის ბატონ თომას პოინტერმანის მიწვევით ციურისში VII მსოფლიო მუსიკალურ ფესტივალზე „გეორგიება“ ცეკვითა და სიმღერით უამბო დაშვრე სახოგადოებას თავისი სამშობლოს ისტორიაზე, კულტურულაზე, ადათ-ჩეკებზე, ტრადიციებზე. ამ ენაზევე ეტყვიან სათქმელს ანსამბლის წევრები თურქეთში, ლუქსემბურგში („გეორგიება“ წელს არის მიწვეული ამ ქვეშნებში) მათ მოსახმენად და სანახავად მისულ მრავალრიცხოვონ მსმენელსა და მაჟურებელს და კიდევ ბევრ სხვა-

რტო ცეკვებსა და სიმღერებს კი არ ასწავლიან მათ, არამედ ქართული კულტურის, ტრადიციების, ფოლკლორის სიყვარულსა და პატივისცემას უნერგავენ, კულტურული და ალოგის საწარმოებელ იმ ენას ასწავლიან, ზევით რომ ვახსენეთ. „პატარა გეორგიება“ ძირძეველ, ტრადიციულ სარიტუალო ცეკვებს და სიმღერებს ასრულებს, ამასთან ცეკვების უმრავლესობა საკრავების აკომპანემენტის გარეშე, სიმღერების ფონზე სრულდება, რაც განუმეორებელ ელფერს სძენს ანსამბლის შემოქმედებას. „პატარა გეორგიება“ დიდი მოწონებით სარგებლობს როგორც ქართული ხალხური შემოქმედების მოყვარულ-დამფასებელთა

ლგან, ამის მტკიცების საფუძველს იძლევა „პატარა გეორგიება“ ხელმძღვანელთა მაღალი პრიფესიონალიზმი, მისი წევრების მოწადინება, შრომისმოვარეობა, ნიჭიერება და ქართული ხალხური შემოქმედების უდიდესი სიყვარული, ველა მათგანს რომ ამოძრავებს და აერთიანებს.

დასასრულ აუცილებლად უნდა ითქვას იმ გელშემატკიცრობაზე, ხელშეწყობასა და თანადგომაზე, რომელსაც ანსამბლის მიმართ რამიშვილის საავტორო №6 სკოლის დორექტორი ქალბატონი ნინო რამიშვილი იჩენს. ასე რომ არ ყოფილიყო, „პატარა გეორგიება“ დიდობიტაზე ვერ გავიდოდა.



## თურქე ვიზუალური მეთოდს, ჯუვას წიგნის კითხვა „გლიმობრი“



დღეს ხშირად გაიგონებთ: „რაღა დროს წიგნებია, კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქაში!“ ის კი არა, ზოგი თქვენი კითხვას „გლიმობრის“ ეძახის, ხოლო ბევრი საკუთარ სისარმაცეს თუ წიგნისადმი ასე ხსნის: „ჯავახიშვილის, ტოლდეტოის, ბარნოვის, გამსახურდიას, მარკ ტვენის, ჟიულ კერნის, ჩარლზ დიენსის წიგნები მრავალი წლის წინ დაწერა, მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და რა საჭიროა ვიკითხო იმის შესახებ, რაც დიდი ხსნის წინ იყო, თანამედროვე წიგნები კი იმის შესახება, რაც ახლა ხდება და რასაც ტელევიზორში ვჟეჟურებ, მა-

წასადამე, არც მათი წაკითხვა მჭირდება!“

დამეთანხმებით – ეს უგუნურთა მსჯელობაა.

კინოს, ტელევიზორის, კომპიუტერის სიკეთის უარყოფაც ასეთი ვე უგუნურობა იქნება, მაგრამ უტყუარი ფაქტია – რომ არა წიგნებიდან შეძენილი ცოდნა (მხატვრული ლიტერატურა იქნება ეს, თუ სამეცნიერო ნა-

მრობები), არც ტელევიზორი შე-

იქნებოდა და არც კომპიუტერი, რომ აღარაფერი ვთქვათ კაცობრიობის უამრავ სხვა მიღწევაშე სხვა-

დასხვა დარგება თუ სფეროში.

დავით აღმაშენებელს გაგასენებთ. ქართველ და უცხოელ მემატიანეთა თუ თანამედროვეთა აზრითა და შეფასებით, ქართველთა დიდი მეფის წარმატებულ მოღვაწეობას, გამარჯვებებს ბრძოლის ველსა თუ პოლიტიკურ საქმიანობაში ხელს უწყობდა ის გარემობა, რომ მას სახელმწიფო მოღვაწის სათანადო მომზადება და იმ დროისთვის შესაფერი განათლება პერნადა. ცოდნა და განა-



თლება კი მაშინაც წიგნიდან მოღილდა. მეფეს რომ წიგნების კითხვა ძალზე ჰყვარებია და ლაშქრობის დროსაც კი თან ატარებდა მათ, ამაზე მატიანეც მოგვიდას: „იგინი იყუნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოვან და სასმელ ტკბილ და საწადელი. დღე და ღამე მიმოსვლათა შინა, მიმდემთა ლაშქრობათა, მოუწევენლთა შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტუირთა სიმრავლეს ჯორთა და აქლემთასა; სად არ გარდახდეს ონესა, პირველ ყოვლისა წიგნის მოაქუნდიან ხელითა, და არა დააცადის კითხვა ვიდრე არა დაშურის“. ცხადია, დავით აღმაშენებელი გასართობად, თავის შე-

ოგრაფია ძირფესვიანად აბათილებს ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, თითქოს ადამიანები, რომელთაც კითხვა უჟვარო, სულ წიგნს ჩასხერებიან და სხვას არაფერს აკეთებენ, უმოქმედოდ არიან. უფროსი პლინიუსი ოფიცერი იყო, მერე – სახელმწიფო მოხელე, ბერსაც მოგზაურობდა. სადაც უნდა ყოფილიყო, ყველგან კითხულობდა – სადილობისას, გზაში, აბანოებშიც კი, სადაც რომაელები დიდ დროს ატარებდნენ (ძველი რომის აბანოები ყველაფერთან ერთად, ის ადგილი იყო, სადაც ხვდებოდნენ და საუბრობდნენ ნაცნობები, მსჯელობდნენ და ბჭობდნენ ამა თუ იმ მოვლენაზე, ახალ ამბებზე). ყველა წაკითხული წიგნიდან პლინიუსი აუცილებლად იწერდა მისთვის საგულისხმო აზრებს, ამბებს. ამ საინტერესო ადამიანმა შთამომავლობას მრავალი თხზულება დაუტოვა, მათგან მთავრია „საბუნების მეტყველო ისტორია“. როგორც თვავად პლინიუსი აღნიშნავს, ამ თხზულების დასაწერად სხვა ავტორების ორი ათასი ნაშრომი წაიკი-

საქცევად არ კითხულობდა – სად თხა. ექნებოდა ამის დროს ან უფლება – წიგნებში იგი ცოდნას, გამოცდილებას, სიბრძნეს ეძებდა და ეწაფებოდა, რათა მერე სამეფო მართვა-გამგეობაში თუ მტერთან ბრძოლაში გამოეყენებინა ყოველივე, რასაც თავისი ქვეყნის აღორძინებისთვის მიიჩნევდა საჭირო.

მოდით, ახლა უძველეს ხანაში გადავინაცვლოთ. ამბობენ, ცნობილ ქიმიკელთა მსოფლიო ისტორია რომ დაწერილიყო, ერთ-ერთ საპატიო აღვილს მასში რომაელი პლინიუს უფროსი დაიკავებდა, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ცხოვრობდა. მისი ძი-

დიდი იტალიელი პოეტი ფრანჩესკო პეტრარკა XIV საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მხანაგან წიგნი ზღაპრულად ძირად ფასობდა და ამის გამო თავისი ბიბლიოთეკის გასაზრდელად თურმე პეტრარკას ხშირად საკუთარი ხელით უწევდა ხოლმე მისთვის სასურველი თუ საჭირო წიგნების გადაწერა. ასე გადაწერია მას ვირგილიუსის, ციცერონის, სენეკას ნაწარმოებები. ამასთან დიდი პოეტი და აღორძინების პუმანისტური კულტურის მამამთავარი თავის ხელით გაგრძელება მე-12 გვ.



ნბებლული წიგნებს დიდი სიეკა-  
რულითა და რუდენებით ამობდა  
მინიატურებით, მერე კი უდიდესი  
სიამოვნებით კითხულობდა ამ ხე-  
ლნაწერ წიგნებს. „მე წიგნების სი-

ნებდა და ფიქრობდა. სწორედ სა-  
პერობილეში დაწერა კამპანელამ  
ათობით ნაშრომი ფილოსოფიის,

მედ წიგნის ბეჭდვის გამოშეგუ-  
ნებელი – იოპან გულენბერგი, XV  
რომელიც საუკუნეში ცხო-  
ნობდა და მოღვაწეობდა.  
კასო გოდერიული

- წერდა პეტრარკა  
ერთ-ერთ წერილში.

- წიგნები გვავსე-  
ბენ სულის სიღრმე-  
მდე, გვესაუბრე-  
ბიან, რჩევას გვა-  
ძლევენ და სული-  
ერი მეგობრობით  
გვიგავშირდებიან“.

პეტრარკაზე  
ორი საუკუნით  
გვიან ცხოვრობდა  
და მოღვაწეობდა  
მისი დიდი თანამე-  
მამულე, ფილოსო-



ფოსი, პოეტი და პოლიტიკური მო-  
ღვაწე ტომახო კამპანელა. ტომა-  
ხოს ოჯახი იმდენად ღარიბი იყო,  
რომ ბიჭი სკოლაში ვერ მიაბარეს  
და იგი სკოლის ღია ფანჯარასთან  
იდგა ხოლმე და ისე ისმენდა გა-  
კეთილებს. ცოდნას მოწყურებუ-  
ლმა ქმაწვილმა მაღლე კველა მო-  
სწავლეს გაუსწრო. მოგვიანებით  
იგი საეკლესიო მოღვაწე – დომი-  
ნიკანელი ბერი გახდა. მთელი ამ  
ხნის განმავლობაში დაუღალავად  
კითხულობდა და უკიდეგანო ცო-  
დნაც შეიძინა. სწორედ ამ უდი-  
დესმა ცოდნამ დააგვე ინგიზი-  
ტორები, რომლებმაც განაცხადეს,  
რომ ამდენი ცოდნის შეძენა ეშმა-  
კის დახმარების გარეშე შეუძლე-  
ბელი იყო. „იმისთვის, რომ ეს  
ცოდნა შემეძინა, უძილო დამე-  
ების განმავლობაში მე ლამპა-  
რში იმდენი ზეთის დაწვა მოძი-  
ხდა, რამდენიც თქვენ მთელი  
თქვენი სიცოცხლის მანძილზე  
ღვინო დაგილევიათ“. კამპანელას  
მწვალებლობა დასწამეს და სა-  
მუდამ პატიმრობა მიუსაჯეს. 27  
წელი გაატარა მან საპერობი-  
ლეში და მთელი ეს ხანი, თუ  
წიგნებს აძლევდნენ, კითხულო-  
ბდა, თუ ქაღალდს, წერდა, ხოლო  
თუ პრც ერთს აძლევდნენ, და  
არც მეორეს, წაკითხულს იხსე-

მისი ლექსების უმრავლესობაც.  
გველა მისი თხზულება, მათ შო-  
რის გველაზე ცნობილი – „მზის  
ქალაქი“, რომელიც მომავლის  
სახელმწიფოს თავისებური წი-  
ნასწარმეტყველებაა, წაკითხულ  
წიგნებს ემგარება.

როგორც ხედავთ, წიგნების  
კითხვას ოდნავაც კი არ გაუნე-  
ლებია ამ გატაცებული მკითხვე-  
ლების შემოქმედებითი ძალა, პი-  
რიქით, კიდევ უფრო განავითარა  
იგი. თითოეულმა მათგანმა მის  
მიერ წაკითხული სხვათა მიერ  
დაწერილი წიგნების მთას სა-  
კუთრებიც მიუმატა და სამუ-  
დამოდ დარჩა კაცობრიობის  
ისტორიაში.

თქვენ იტყვით, ეს დიდი ხნის  
წინ, ტელევიზორის და კომპი-  
უტერის გამოგონებამდე იყოო,  
მე კი, ჩემო კარგებო, ასე გი-  
პასუხებო ამაზე: იმ ტელევი-  
ზორის თუ კომპიუტერის შე-  
ქმნელებიც სხვათა და სხვათა  
მიერ დაწერილ წიგნებში წაკი-  
თხულის წევალობით მივიღნენ ამა  
თუ იმ გამოგონებამდე.

და ბოლოს მინდა ისიც იცო-  
დეთ, რომ – ორიოდ წლის წინ,  
XXI საუკუნის ზღურბლზე მსო-  
ფლიონმ ათასწლეულის ადამიანად  
აღიარა არა კომპიუტერის, არა-

## ოქროს სანმისი

წევნე უიქვამი  
ვასაც უნიგნოდ  
სურს ისწავლოს  
რიმე, ას საცერებლ  
აგრძელებს წყლეს.  
გ ე რ მ ა ნ უ ც ი  
ა ხ დ ს ა ნ უ ც ი

წევნი ას მეგობა-  
რის, რომელიც ას-  
ხლოს გალსლა-  
ვებს.

ეძრაული სი-  
ძიძები.

სოცერიო წევნი ას სის სე  
ცუცი, რომ რიმენირაც ას გა-  
მოგადგეს.

უმცროსი პლანეტა.

ადამიანები მაშან წყვეტე  
აგრძელებას, როცა უისეს  
იავს ანებებებს.

დები ცირკი.

წევნის უისეს გონიერების  
უავერესა, როცა უისეს  
იავს.

ჭ. ილიანი.

ამ წევნების სამიახე სპე-  
ცია სისტემაზე და უსრი წევნე-  
ბშა.

ჭ. ბესტევა.

მოილი, ვეულის წევნი, გუ-  
ლში სამას მოეს.

ფასტოუბი.

წევნი სულის ჭურჭელი.  
ომას მას.

ამ წევნის ას სისების წე-  
ვნები უფრო საყვარელი მეგო-  
ბარი.

სოლიშე ნავა.



კარტინგი და გოგონა?  
რატომას პრა!

თბილისის 102-ე საშუალო სკოლის მეცნიერებლა- სელი ანი იაშვილი გოგონებისთვის მეტად იშვიათი სპორტის სახეობით - კარტინგით არის გატაცებული. ანი „მინი“ კლასის რბოლაში საქართველოს 2002 წლის ჩამონაბრძოლია. შა- რველობამ გამოავლინა იმ რშანდელ პირველობაში მან სპორტსმენთა ვინაობა, რუშუალო მეტოქე ბიჭები მლებიც აღმოსავლეთ ევროდაჩარი, სამი რბოლა მო- პის ახალგაზრდათა ჩემპიონო, ოთხში მეორე ადგილი ონატში მიიღებენ მონაწილე- დაიკავა და საბოლოო ჯა- ბას. 14 წლამდე ასაკის ჩო- მში გამარჯვებულის ტი- გბურთელთა ასპარეზობაში, ტული მოიპოვა. კარტინგით რომელიც სომხეთის დედა- ანის გატაცება შემთხვე- ქალაქში გაიმართება, ია ჯი- ვითი არ არის, მისი მამა - ზურაბ იაშვილი საქა- ნდრო ლომინებული და აშშ-ში, მსოფლიოში ცნობილ კრის ევერტის აკადემიაში გარჯიშობს - უფასოდ. ამ ნორმატივიც შეასრულა და (Fide-ს უახლოეს სხდომაზე მას ამ წოდებას ოფიციალუ- როგორც IMG სტიპენდიატი აშშ-ში, მსოფლიოში ცნობილ კრის ევერტის აკადემიაში გარჯიშობს - უფასოდ. ამ უკანასკნელ გარემოებას იმი- ტომ ვუსვამთ ხახს, რომ ევერტის აკადემიაში ერთი სეზონის, ანუ 9 თვის მანილზე ვარჯიში 45 ათასი დოლარი ღირს.

ამჟამად ანი იაშვილი საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატისთვის ემზადება, აშშ-ში მუშაობს, მმა-ლევანი ავტომობილებია, ავტოსპორტს მისდევენ მისი სხვა ნა- თესავ-მოგვარებიც.

ამჟამად ანი იაშვილი სა-

## სპორტი

## სპორტი

## სპორტი

რდა იმისა, რომ ჩემპიონის საპატიო წოდება დაიმსახურა, ამ გამარჯვებით ნანამ საერთაშორისო ოსტატის (Fide-ს უახლოეს სხდომაზე გზურიც მოიპოვა.

### ეპროპის ჩემპიონატის

### სპორტის განაღლენის

ახლახან დამთავრებულ საქართველოს წლევანდელი ტი- გბურთელთა ასპარეზობაში, ტული მოიპოვა. კარტინგით რომელიც სომხეთის დედა- ანის გატაცება შემთხვე- ქალაქში გაიმართება, ია ჯი- ვითი არ არის, მისი მამა - ზურაბ იაშვილი საქართველოს ავტოფედერაცი- ლაშა ქარჩაიძე გამოვლენ, აშშ-ში ხელი მოზრდილ, 16 წლა- ავტომობილებია, ავტოსპო- მდე ასაკის ჩოგნის ოსტა- რტებს სერბია-ჩერნოგორიის ქალაქი ნოვისადი უმასპი- ნდლებს და აქ თათია მიქაძე, ანი ხვედელიძე, ვიქტორ მე- სხი და სოზარ გოქაძე და- რომელიც 3 მაისს დაიწყება იცავენ საქართველოს ღი- და რვა ეტაპად ჩატარდება. რსებას.

სპორტის განაღლენის საქართველოს წლევანდელი ტი- გბურთელთა შორის; მე-5 ადგილი ლას ვეგასში გამართულ 14 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა ტურნირში „OSAI Vally tennis Tournament; თასები ბადენ-ბადენის, კიონისის, ჰასულტ-ვლაანდერენის ტურნირებზე; გამარჯვება 16 წლა- მდე ასაკის ჩოგბურთელთა ტურნირში „Turakie Time Jr. Super Serial“; ადგილი ბოლიტიერის აკადემიაში გამართულ „ედი ჰარისის“ ტურნირის გამარჯვებულის ღია ქართველი ჩოგბურთელი, ლთა ექვსეულში.

ამბობენ, რომ ცხრა ნელინაღში ანა მერვლიონს

№1 ჩრდანი იქნება

12 წლის ანა ტატიშვილმა პირველად ოთხი წლისამ აიღო ჩოგანი ხელში, დღეს ტურნირის გამარჯვებულის ღია ქართველი ჩოგბურთელი, ლთა ექვსეულში.



## ნინო ოთხელიანი

თავიდან პატარა ნინოც ისე ხატავდა, როგორც მისი თანატოლების დიდი უმრავლესობა – სახლები საყვამურიდან ამოსული კვამლით, დიდი ჰყეტელა ყვავილები, ყურებამდე გაცინებული მზე, ერთ მშვენიერ დღეს კი დავით აღმაშენებლის ისტორიული პორტრეტის ეურებით ისეთი ასლი დახატა, რომ უფროსებს აფიქრებინა, მგონი, ამ ბავშვს ხატვის გამორჩეული ნიჭი აქვსო. მერე ნაცნობ-მეგობრების კარნახით მისი სხვა ნახატებიც ხატვის მახაფლებელს აჩვენეს და მისი რჩევით სამხატვრო სკოლაში მიიყვანეს.

დღეს ნინო იოსელიანი ამ სკოლის მეოთხე კლასში სწავლობს (დირექტორი ქ-ნი ნათელა მაყაშვილი) და გატაცებით ეუფლება ხატვის ხელოვნებას. უფრო ნატურმორტების ხატვა უყვარს და ამას წინათ თბილისის უნივერსიტეტში გამართულ მის გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებშიც უფრო ეს უანრი ჭარბობდა. ნინიკოს ფერწერაც ძალიან უყვარს და გრაფიკაც, ამიტომ ახლავე დელავს იმიტომ, რომ მეხუთე კლასიდან სამხატვრო სკოლაში სპეციალისტაცია იწყება და მასაც სხვა თანაკლასელების მსგავსად, სახვითი ხელოვნების ამ ორ სახეობას შორის არჩევანის გაეთება მოუწევს, არადა, არცერთი არ ეთმობა, ოჯახს კი იმის საშუალება არა აქვს, რომ ერთის სწავლის ფულიც იხადოს და მეორისაც, მით უმეტეს, რომ ნინოს ორი და ჰყავს – სალომე და ნანა და ისინიც ხომ დასაკვალიანებლები არიან. სხვათა შორის, ისინიც ხატავენ და არა-

ვინ იცის, იქნებ უმცროს იოსელიანებსაც გამოაჩნდეთ მოკლე ხანში ხატვის განსაკუთრებული ნიჭი. ჯერჯერობით კი სამივენი ძალიან კარგად მდერიან. მუსიკალური დები სიამოვნებით ასრულებენ როგორც ქართულ ხალხურ, ისე თანამედროვე პოპულარულ სიმღერებს. რა თქმა უნდა, დები მეგობრობენ, ერთად თამაშობენ, ერთად უყურებენ ტელევიზორში მულტფილმებს, კომედიებს თუ ქართულ ფილმებს, „საქმეებსაც ერთად არჩევენ“, მაგრამ ნინო უფრო დამთმობი და მორიდებულია, სალომე და ნანა უფრო თამამები და მოხერხებულები არიან, ონავრებმა ლამის უფროსი და დაბაგრონ ხოლმე.

ამ შეჭირვების უამს ოჯახს გლდანის VIII მიკრორაიონში არსებულ ბავშვთა კავშირიდან „რწმენა I“ (პრეზიდენტი ქ-ნი ნელი თოთიაური) მიაკითხეს და



როგორც მრავალშვილიანს და ხელმოკლეს დახმარება შესთავაზეს – ნინო და მისი დები სკო-

ლის შემდეგ ბავშვთა კავშირში არიან ხოლმე, იქ სადილობენ, გაკვეთილებსაც იქ ამზადებენ, ერთობიან. ბავშვთა კავშირის ბავშვები მზრუნველობითა და ფურადღებით არიან გარემოცულები. სხვათა შორის, სწორედ ბავშვთა კავშირმა მოაწყო ნი-



ნოს ნახატების გამოფენა უნივერსიტეტში.

ნინო იოსელიანი თბილისის 71-ე საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეა და როგორც თვითონ ამბობს, სულ ფრიადებზე არა, მაგრამ კარგად სწავლობს, საგნებიდან კი გველაზე მეტად რელიგია უყვარს. გოგონა მორწმუნება და წმინდა ნინოს ტაძრის მრევლის წევრია. თუმცა ნინიკოს ჯერ საბოლოოდ ვერ გადაუწვეტია ექიმობა, კერძოდ, პედიატრობა აირჩიოს თუ მხატვრობა, მაგრამ მისი ბუნებიდან გამომდინარე, ახლავე შეიძლება ითქვას, რომ პირველ შემთხვევაში იგი უაღრესად გულისხმილი, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ექიმი, მეორე შემთხვევაში კი მაძიებელი, საკუთარი, გამორჩეული ხელწერის შემოქმედი იქნება. ქვეყანას, საზოგადოებას კი მისი სახით ორივე შემთხვევაში ღირსეული პიროვნება და პროფესიონალი ეყოლება.

# შესასვენებლივი ისტორია

**1. როდის რთავ ხოლმე ტე-  
ლევიზორებ?**

ა) ნებისმიერ დროს, როცა კი  
მცალია.

ბ) ძირითადად ერთსა და იმავე  
სათებში, როცა ვიცი, რა გადა-  
ცემები იქნება.

გ) ზუსტად იმ დროს, როცა  
ჩემთვის საინტერესო გადაცემა  
ფიქციება.

**2. ტელეპროგრამებს ეძღუ-  
ლობ?**

ა) იშვიათად.

ბ) ხანდახან.

გ) ყოვე-  
ლოვის.

**3. ხარ ე-  
ტელემო პაუზის  
დროს:**

ა) ტელევი-  
ზორს სხვა  
არხზე ვრთავ.

ბ) სხას დავუ-  
წევ.

გ) მოთმინე-  
ბით ვეღი, რო-  
დის გაგრძე-  
ლდება გადაცემა.

**4. ორ რ  
არ ხ გ  
ტერთდორულად  
გადის შენოვის  
სახურველი გადაცემები, შენ:**

ა) ვეცდები ორივეს ვუფურო  
და ტელევიზორს ხან ერთ არხზე  
ვრთავ, ხან - მეორეზე.

ბ) ერთ-ერთ გადაცემას ბო-  
ლოდებულ ვუფურებ და შემდეგ სა-  
სწრაფოდ გადავრთავ სხვა არხზე  
- იქნებ, მეორე გადაცემის ბო-  
ლოს მაინც მივუსწრო.

გ) რომელიმე ერთ გადაცემას  
ვუფურებ და ტელევიზორს გამო-  
ვრთავ.

**5. ტელევიზორი ებ-ებაა  
ჩართე და „აღმოჩინე“ საინტე-  
რებო ფილმი, რომელიც სულ  
მცირე, ნახევარი საათის და-  
წევებული მაინცა. შეუდგები  
არა მის ეურება?**

## მე და ტელევიზორი

ა) დიახ, ჩემთვის ამას მნიშვნე-  
ლობა არა აქვს.

ბ) ვუფურებ, თუ ფილმის მსვლე-  
ლობაში „ჩართვა“ მოვახერხე.

გ) ამ ფილმის ნახვას იმ დრო-  
ისთვის გადავდებ, როცა მისი თა-  
ვიდან ბოლომდე ეურების შესაძლე-  
ბლობა მომეცემა.


საწყისშივე ვარეგულირებ ხმა-  
საც და გამოსახულებასაც.

ყოველი პითხვის „ა“ პასუ-  
ხში დაიზერე 3 ქულა, „ბ“ - ზ  
2; „გ“ - 1.

**7-11 ქულა: შენოვის ულევი-  
ზორი უძოვებენ შემუცნების  
ქიო-ქიოს საშუალებას, მისი მე-  
შეკობით იღებ გასაკუთრე  
ინიციატივის, უცნობი შე-  
ნოვის საინტერესო მოყე-  
ნებს რა ფილმებს. ამიუმა უ-  
ლევიზორს მხო-  
ლობ მაშინ მი-  
უწერები ხორმე,  
ხოცა ზოგიერ შე-  
ნოვის „სა-  
ჭირო“ კონკრე-  
ტური გარეულ გარის.**

**12-16 ქულა:**  
შენს ცხოვე-  
ბაში ულევიზორს  
ძნებულების შე-  
ცვერი უჯავით.  
აგრ გახოთძნს,  
შეიძერებას გა-  
ვინც კან უნი-  
უნიკური განმო-  
ნების საშუალებას  
გაძრებ. თუმცა სხვა ან ცურ-  
ნებიც გაქცე რა მოწერ თავისი-  
უავ რჩოს ულევიზორის ან  
ცურაბ.

**17-21 ქულა:** ულევიზორის ის-  
ოუმის მორინაზ აქმატითი  
ებას შენს მჩავალი უკონკრე-  
ტურის ულევიზორი ცხო-  
ვების იცხოვებით - იმოგნ-  
აური, ჰერცუების „მადანეცუ-  
მან“ მოუსმინო, ხელოუნების  
ნანაქმობების რაცება... ულე-  
ვიზორების განნებობილების  
მიხერული იჩეულ, ზოგს გაიკ-  
ულების უყობრი, სხეულის მხო-  
ლობის ჩამოწმების შეაცვებ  
რა მით კატეგორიული.



**6. ტელევიზორის ეურებისას:**

ა) შემიძლია მშვიდად ვაკეთო  
ჩემი საქმე.

ბ) ეკრანს არ მოვშორდები, თუ  
რაღაც აუცილებელი საქმე არ გა-  
მომიჩნდა.

გ) გადაცემას ყოველთვის ეუ-  
რადებით ვუფურებ თავიდან ბო-  
ლომდე.

**7. გამართული ტელევიზო-  
რის ეურებისას:**

ა) ხშირად ვცვლი ფერს, ხმას,  
გამოსახულებას.

ბ) თუ ტელევიზორმა მოულო-  
დნელად არ „აურია“, ახლოსაც არ  
წევებული მაინცა. შეუდგები  
გავეკარები.

გ) თავიდანვე, გადაცემის და-



## ოფიშენი

მახუთა  
სამართლია



თამანა გალავილი  
ააასთუანის სამუალო სკოლა, V კლასი.

## ესეილ ტაველიშვილი

თბილისის უცხო ენების გაძლიერებული ხწავლების დამოუკიდებელი სამუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეები. თუ მისი ნაწერებით ვიძეჯდეთ, მიშვით გონიერი, მგრძნობა-არ და დაკვირვებული ბიჭი უნდა იყოს და კიდევ ერთი რამ გამოსჭვიას თვალინათლივ ამ თხზულებებიდან – მიშვით ტაველიშვილის სახით საქართველოს ერთგული ვაჟკაცი ეტრედება, რომელიც მისი კეთილდღეობისთვის თავს არ დაზოგავს.

### აიმინებული ხმალი

ერთხელ ერთ ოჯახში, კედელზე, ხალიჩაზე დაკიდებული დიდი ხმალი ვნახე. გულში იმ წუთში ამოტივტივდა: „დაუნებულხარ გორდაო, დაგობებია ქარქაში“. ხმალს დიდხანს უყურებდი, ალბათ, ოთახში შემოსულმა მოხუცმა მასპინძელმა შემჩნია ჩემი ცნობისმოყვარეობა და შემეცითხა: რას უყურებო? მე ხმალზე მივუთითე. მან კი მითხრა: შვილო, რომ იცოდე, ამ ხმალს ქარქაში ერთი დამეც არ გაუთენებია, სულ ბრძოლაში იყო, სულ ომობდაო. მოხუცმა ძალიან საინტერესო რამები მიამბო, ისე გატაცებით მიყვებოდა ბრძოლების შესახებ, რომ მეც თავი ბრძოლის ველზე წარმოვიდგინე: აი, გაიჭრა ცხენოსანი ქართველი, მას უცებ ოთხი სპარსელი შემოერტყა გარს. ქართველმა ხმალი ქარქაშიდან ამოიღო და ხმალმაც დაიწყო ტრიალი. თვალწინ ხმლის ნაპერწკლები, დახოცილი სპარსელები და გამარჯვებული ქართველები დავინახე.

თითქოს ვგრძნობდი და მესმოდა იმ დაჭრილი თუ დახოცილი ქართველების კვნესა და მივხვდი, თურმე რა ძნელი ყოფილა სამშობლოს პატარა მიწის ნაგლეჯის დაცვაც კი, რამდენ შეუწირავს თავი. მივხვდი და უფრო შემიყვარდა ჩემი სამშობლოს მთა-ბარი.

საოცარია, რომ ძეგლისძველმა, თითქმის დაჟანგებულმა ხმალმა თვალწინ გამიცოცხლა ის ბრძოლები, რომლებშიც იყი სამშობლოს იცავდა.

### 306 გამოვს აასშეს?

ზღაპრები ძალიან მიყვარს, რადგან დასასრული ყოველთვის კეთილი აქვს. გველეშაპს ამარცხებს მამაცი რაინდი, ბოროტი ჯალოქარი კედება, კეთილი ფერია კი სიცოცხლეს განაგრძობს. ჩემ გვერდით ყოველთვის ვეძებ მებრძოლ რაინდს, რომელსაც ბათურის ხმალი ექნება, ყოველ ხეში ნატერის ხე ვხედავ, კონკიას დედოფლად წარმოვიდგენ ხოლმე. ვეძებ მათ, მაგრამ ვერ ვპოულობ. სამაგიეროდ, ჩემი ნაცნობი რაინდებისა და გმირების ნაცვლად ვაწყდები ხოლმე გაუხეშებული, ღიმილდაგარგული ბავშვების თვალებს, გაყინულ ხელებს. მათი თვალები სხვა რამეს ექვებს. მათი ფიქრი შორს არის. მათ ალბათ, გაღიმება არც კი შეუძლიათ. კი, მაგრამ რატომ? რა დაშავეს? ისინი ხომ ჯერ კიდევ პატარები არიან? რატომ არის მათი თვალები უსიცოცხლო და გაბოროტებული?

ვის შევეკითხო? მაინც ვინ გამცემს პასუხს?

## ხეალინდელ დღეზე ზრუნვით

საქებარი სიტყვები მარინა მასწავლებლის მისამართით არც კოლეგებს დაელევათ და არც მის აღსაჩრდელებს. ეს გულთბილი, ალერსიანი, საქმის ერთგული და პატივსაცემი ადამიანი ცეკვას უყვარს.

მარინა მეტრეველი 1985 წლიდან იღწვის ქ. თბილისის 142-ე საშუალო სკოლაში და მთელი ეს ხანი უდიდესი სიყვარულით ემსახურება პატარების აღზრდა-განათლების საქმეს. საშუალო სკოლა ონის რაიონის ს. გომში დამთავრა, სკოლის შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა. სიხარულით მიუწევდა ახალგაზრდა მასწავლებელს გული სკოლისაკენ, განაწილებით მშობლიურ სოფელში დაიწყო პედაგოგობა. მალე ქალიშვილი ბებმა თბილისში გადმოისახლა, მეუღლესთან ერთად მან ტკბილი ქართული ოჯახი შექმნა. მარინა მასწავლებელი ქ. თბილისის 142-ე საშუალო სკოლაში მოხვდა დაწყებითი კლასების პედაგოგად. ვინ მოთვლის რამდენი სიკეთე გაუკეთება ამ ხნის განმავლობაში, რამდენ ბაჟშეში აღუძრავს სწავლის სურვილი, რამდენი მოსწავლის გულში ჩარჩენილა უქრობ შუქურად მისი სიკეთოთ



მოელვარე თვალები.

სამი წლის წინ კი მარინა მასწავლებელი დღევანდელ მესამეკლასელებს შეუძლება ცოდნის ტაბარში. პირველი მასწავლებლის სახელთან ერთად აწკრიალდა მათვის სკოლის ზარი. მისი ყოველი გაკეთილი იმდენად საინტერესოა, რომ პატარებს ერთმანეთში გადალაპარაკების სურვილიც კი არ უჩნდებათ. გულისყრით უსმენენ, გაფაციცებით ადგენებენ თვალ-ყურს მასწავლებლის ყოველ სიტყვას, ყოველ მოძრაობას. ცდოლებენ არ აწესინონ მათვის ყველაზე ლამაზ, ყველაზე საონო, ყველაზე კეთილ ადამიანს ამქვევნად. მარინე მასწავლებლის სახე მათვის დედის სახესთან არის გაიგივებული.

კლასში ბევრი ხუთოსანია: ნანა ფიფა, სოფო ელბაქიძე, აკაკი თხილაიშვილი, მარია ილურიძე, ტიტე კურტანიძე, თამუნა ბუბუტეიშვილი, რევაზ პაპაშვილი.

მარინა მასწავლებლის ბევრი აღსაჩრდელი წარმატებულ სწავლასთან ერთად სხვადასხვა შემოქმედებით წრესა თუ სტუდიაშიც მეცადინეობს. თამუნა ბუბუტეიშვილი ცეკვით არის გატაცებული, რეზო პაპიაშვილი იური ტორაძის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლეგიუმ“ ეუფლება ქართულ ცეკვებს, გიორგი ლევანიშვილი ანსამბლ „ერისონში“ ცეკვას, მიხეილ რაზმაძე – „ოეთრონში“, მაია სუხიშვილი – „კოლხე-

თში“, ქორეოგრაფიით არიან გატაცებული პეტრეველის გიორგი ბერიანიძე, მარიამ სოლომოვ, თამარ ჩავლინი, ნათია ჩუთლაშვილი. მარინა მასწავლებლის მოსწავლებს შორის მომღერლებიც არიან – ლაშა აღნიაშვილი, ბექა დგებუაძე (ბექა ლია კობახიძის ანსამბლში მღერის). კლასში მხატვრული კითხვის ოსტატებიც ჰყავთ – ნანა ფიფა და გვანცა ლემონჯავა. ბეკრი გოგონა ხელსაქმით არის გატაცებული, მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა მანანა კაპაროძე, რომელსაც ჭრა-კერვა იტაცებს. გრიგოლ ვაჩეიშვილის, არჩილ თურქაძის, ირაკლი ჩხაიძის, ნაზი მელაძის სახით მესამე კლასში ნორჩი მხატვრებიც ჰყავთ, სოფო გრიგალაშვილი კი ძერწვით არის დაინტერესებული.

მესამეკლასელთა შორის ნორჩი სპორტსმენებიც არიან: ფეხბურთელი დიმიტრი ჩაბრაძე, კარატისტები ლევან კახიშვილი, ტიტე კურტანიძე, მოცურავები ლაშა ბერიძე, თორნიუე ნოზაძე, ლაშა გაფრინდაშვილი, დათო ბათილაშვილი.

კლასში შშირად ტარდება სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება, დისკუსიები თემებზე „როგორ მესახება მომავალი“, „საქართველო ჩემი სამშობლო“, „ნატერისტვალი რომ მქონდებს“... ბავშვები მსჯელობენ, განიცდიან, არკვევნ, თხზავნ. მარინა მასწავლებლის დაუდალავი შრომის შედეგია ის, რომ ბავშვები დამოუკიდებლად აზროვნებენ, ძალიან აქტიურები არიან და ბევრ რამები ერკვევან. მისი სახით მოსწავლებს, მეგობარი და დედა უდგას მხარში და მომავლისთვის ამზადებს.

**მარინა მირცხულავა**

ესამეცლასელა ნანა ფიფა და უძალე უძლევნებელს, მარინა ემტევლებელს. ნანა ერთ-ერთი საუკეთესო მოსახლეა, ბავშვი, შრომის სიმაგრეა და ჭრადღების გოგონას უზარს სიმღერა, ცეკვა, იგივეს კითხვა, მარამ განსაკუთრებით ლექსიგი იტაცებს. ნანა თვითონცაც ცდოლობს ლექსიგით გამოსატოს ის, რაზეც ვიპორბს, რაც აზრებს და რაც უშვას. ამჯერად მან გადატყვითა შურნალ „ნაკადულის“ უზრულევისა და მისი მიუღორცოს თავის პირველ მასალას ემტევლებელს, გაზაფხულის მამოსკლება.

### პატიჟ მასწავლებლს

მოგილოცავთ მარტის დილას, იას დაგერეფთ თქვენთვის, კველაფრისთვის, რაც გვასწავლეთ, მხოლოდ მადლი გვეთქმის.

თქვენ გვასწავლეთ „აი, ია“, მოგიძლვებით წლები, გულის კარი გაგიღიათ, გაგინათოთ გზები.

ავდარში რომ გვეფარებით, ჩენზე ფიქრობთ მარად, გვიფვარხართ და გვეყვარები მშობელ დედის დარად.





## გერმანია ართვერდ საკიანი სიჩე უაღა მილეადი

გერმანიის ქალაქ მინდენში საზე-იმოდ გაიხსნა ქართული საკვირაო სკოლა. ამიერიდან საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით გერმანიაში ემი-გრაციით ჩასულ ქართველთა შეიღებს (რომელთაგან ბევრი გერმანიაშია და-ბადებული) ექნებათ კერა, სადაც ისინი ქართულ ენას ისწავლიან, მშობლიურ კულტურასა და ისტორიას ეზიარებიან. ამ ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმის მესვეურო პირველ რიგში სწო-რედ იმის შიში ამოძრავებდა, რომ სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვების დიდ ნაწილს ქართულის უცოდინა-რობა და მშობლიურ ფეხვებს მოწყვეტა ემუქრება. მინდენის ქართულ საკვირაო სკოლაში, რომელსაც ბატონი შალვა წიგლაური ჩაუდგა სა-თვეში, ყველაზე უძცროსი მოსწა-ვლე ოთხი წლისა, ყველაზე უფროსი კი ჩვიდმეტის.

## ავსტრია ითი თიბინა აასინად ჰავოვას?

ქვეყანაში ჩატარებული სოცი-ალური გამოკვლევის შედეგებით და-დგინდა, რომ აესტრიის პატარა მოქალაქეთა 60 პროცენტს ძალიან აში-ნებს ომი ერაყში, 13-15 წლის ასა-კის ბავშვების 45 პროცენტს კი ში-დისთ დააგადების შიში აწებებს. ფი-ქოლოგების აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ბავშვები მეტისმეტად ემო-ციურად რეაგირებენ იმპეტზე, რაც მათ ირგვლივ ხდება. გლობალური სა-ფრთხის გარდა, პატარა აესტრიელებს ისეთი „კერძო“ ამბიციებიც აწებებთ, როგორიცაა, ზედმეტად გასუქება, სკო-ლაში სიარულის აუცილებლობა. ყო-

# მსოფლიო კიბი კიბეადე

ველ მეორე მოსწავლეს ცუდი ნიშნების მიღება და მათ ჩამორჩენილობაზე მშობლების რეაქცია აშინებს. 13-15 წლის ავსტრიელთა შხოლოდ 13 პროცენტი დადის სიამოვნებით სკოლაში, ხოლო დაწევებითი კლასის მოსწავლეთა შორის ეს მაჩვნებელი 50 პროცენტს შეადგენს.

## საპერპეტი მიმდევას გარების სიჩერი უცხვილია

თუ სხვა ქვეყნებში მშობლები ცდი-ლობენ ცენტრალურ სკოლებში მი-აბარონ შვილები, ბევრი ბერძნი ხა-რისხიანი ცოდნის მისაღებად ათენის გარეუბანში განლაგებულ სკოლებს ამჯობინებს. საქმე ის არის, რომ ბოლო ხანებში საბერძნეთის დედაქა-ლაქის ცენტრალურ რაიონებში ძა-ლტე ბევრმა იმიგრანტმა დაიდო ბინა, რომელთა შვილები ზოგ სკოლაში მოსწავლეთა კონტინენტის 90 პროცე-ნტს შეადგენს. ამ ბავშვების დიდმა ნაწილმა ცუდად იცის ბერძნეული, გა-რდა ამისა, ბევრი მათგანი მუშაობს კიდეც და ცხადია, სწავლაში ჩამო-რჩება. ყველა ეს გარემოება კი მთლი-ანობაში ამუხრუჭებს სასწავლო პრო-ცესებს, რის გამოც უფრო ადგილო-ბრივი, მკვიდრი ბერძნები ზარალდე-ბიან. საბერძნეთის განათლების სა-მინისტროს მონაცემებით, უფასო სა-ხელმწიფო სკოლებში იმიგრანტთა შვილების რაოდებობა სადღეისოდ 120 ათასს შეადგენს, მათგან ნახევა-რზე მეტი აღბანელები არიან.

## მონდომეტი თავის თავი, თავისებური ამისიანი მილეა

ალექსანდრ პუშკინის ხსოვნის დღეს მიეძღვნა კონკურსი, რომელიც

მონდომეტის ტელევიზიამ ნორჩი მა-ფურებლებისთვის გამოაცხადა. კონკუ-რსის მონაწილეებს უნდა წარმოედგი-ნათ დიდი რუსი პოეტის ზღაპრის „ოქროს თევზისა და მებადურის“ სა-კუთარი ვარიანტი. კონკურსში გამა-რჯებულად ცნეს მოსწავლე ბიჭი, რომელმაც ოქროს თევზის კითხვაზე „რა გსურსო?“ უპასუხა: „მსურს პე-რისონალური კომპიუტერი, ჯიბი და კოსმიური ხომალდი“.

## მესიკა „მასარია“ მასაკალაბა ლეივა

მექსიკაში ბევრი მშობელი იძუ-ლებულია თვალი ადეკვოს იმას, რომ მასწავლებლებმა გაგვეთილები არ გა-აცდინონ. დიახ, სწორედ ასეა – მე-ქსიკელ დედებსა და მამებს სერიოზუ-ლად აღელვებს მასწავლებლების მიერ მეცადინეობების არასაპატიო მიჩქით გაცდენის პრობლემა. განსაკუთრებით რომელი სიტუაციაა ამ მხრივ შო-რეულ სოფლებში, სადაც დაწევებით კლასებში თითო-ოროლა მასწავლე-ბელი ჰყავთ. ახლახან გამართულ მა-სწავლებლებისა და მშობლების პი-რველ საკითო ეროვნულ შეხვედრაზე სწორედ ეს საკითხი იყო მთავარი, მაგრამ გამოსავალი ვერც ამ შეხვე-დრაზე გამოინახა. თუ სოფლის სკო-ლების მასწავლებლებს მკაცრად მო-სთხოვენ დისციპლინის დაცვას, მა-შინ ისინი საერთოდ მიატოვებენ სკო-ლას, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ბევრად უფრო შემოსა-ვლიანია, ვიდრე მასწავლებლობა. შე-ხვედრის მონაწილეთა აზრით, საქმეს მხოლოდ მასწავლებლებისთვის ხე-ლფასის მომატება თუ უშველის.



რითმას ვაბალახებ  
მყინვარზე

ვისთვის საუჩქედ „სალხინო“,  
და ვახშმად შავი ღვინოა,  
ვისთვის ფიქრებთან ჭიდილი  
სამბოლ სამარცხვინოა...

სიმდიდრე?.. თვალში არა-  
ფრობს,  
ციდაა, ერთი ჩია რამ,  
ლექს დავენაცვლე ძარღვიანს,  
წყაროდ რომ ჩაიხსრიალა.

მარგალიტივით ბზინვარებს,  
ვარსკვლავეთია – ბრჭყვიალა,  
რითმას გაბალახებ მყინვარზე,  
სხვა არა გამაჩნია რა.

### ვრთმას ისხამს ვაშას არზივი

ფლოქს სცემს ჭიხვინით ქუ-  
რანი,  
უთამამდება იალაღს,  
ორბებმა ზეცა დასერეს,  
არაგვმა დაიღრიალა.  
ფრთებს ისხამს ვაჟას არწივი,  
ნისლი ვერ თანგავს თრიალეთს,  
ზღვა შეიმოსა ატლასით,  
თეთრ აფრებს ააფრიალებს.

ამოანათებს ცისკარი,  
პირიმზის ამორძალითა...  
მწუხარხამომდგარი ღრუბელი  
ნეტავი, საით წავიდა?..

### თამარ

## ბურნაძე-წიწიქაშვილი

შენა ხარ ჩემი სამოთხე

რითმებს თქმა-მოთქმად მოები,  
სისხლით წვეთ-წვეთად ნა-  
ხნარო,  
კრწანისის ყაყაჩოებით  
ფიქრებში ჩამონაღვარო.

ღმერთს შევთხოვ ნუკრის თვა-  
ლებით,

ბედი ქართლისა კრულია,  
წარსულთან შენაალები,  
ტკივილით დაქარწყლულია.

გულს ვერ ვიმშვიდებ-ამ  
ოხერს,  
მტერს მოყვრად გადანაფარო,  
შენა ხარ ჩემი სამოთხე,  
საოცრებათა სამყარო!

ვერ დამაჩობებს მტერი  
ვერაცი

ბარი წამართვეს, ზღვა და მყი-  
ნვარიც,

მე შენს სიყვარულს წამგვრის  
ვერავინ!

სევდის სასმისით მცლის ია-  
ნვარი,

ყალფზე შემდგარა ფიქრის მე-  
რანი.

გზად ბილიკ-ბილიკ სამსჯავროს  
ავლენებიგარ, როგორც მდე-  
ვარი.

უამდაშანთული გული რას ჯა-  
ვრობს,

შენთვის მლოცველი, ღამის  
მთევარი?..

ვერ გაგილხინო ზეცა საავდრო,  
დე, დამიდუნდეს ხელის მტე-  
ვანი!

მსხვერპლად იმიტომ მოველ  
თავად, რომ

შემომეწირა შენთვის ლევანი.

ფრესკად მოვხატე მღვდელი ოე-  
ვდორე,  
სისხლში ცურავდა ღურჯი მე-  
ლანი,  
სულით მზეს ისე გადავეტოლე,  
კერ დამაჩოქებს მტერი ვე-  
რანი!!!

\*\*\*

ვფიცავ ალავერდს, შუამთას,  
გრემს, ზარბერის, ოშეს და ჯვარსა,  
კაცი ლაჩარი ბრძოლაში  
ცოცხლად ვერ ჯობნის მცვდარსა!

**გვიან იქნება**  
ნუ გახდი უარსადანს დავითის  
ტოლს!

შეხედე, შეხედე, სისხლისფრად  
თოვს...  
უსიყვარულოდ ვერ გავალო ფონს,  
ო, გვიან იქნება, როს მოვალთ  
გონს!

**ღურჯი ტაძარი**  
ეხ, ღმერთმა უწყის, მემატიანე  
რაც იყო ოდეს, ახლა რაც არის...  
ერს სიყვარული გაამთლიანებს,  
კმარა! ვაყაროთ ერთურთს  
ნაცარი?

მტრისგან რისხეულს, – ნაგებს  
მახეთი,  
მოყვრად შემოვხვდით, ხმა არ  
დავძარით...  
გვჭვრეტს ერთგულების  
გაღმოსახედით  
რწმენით ნაგები ღურჯი ტაძარი.

**გაღიღგორები**  
გოდებს ლიასვი, ტმკვარი,  
კავთურა,  
შენი ველ-მინდორ, ზერები,  
გორები...  
მთაში სიჩუმემ დაისაღვურა,  
მე შენს ტკივილებს ვეამბორები!

ვგონებ დაგნავსა თვალმა ავისამ,  
ღმერთმა გაკმაროს სისხლის  
ტბორები!  
თუ დაგჭირდები, აბჯარს ავისხამ,  
გიბასიანებ, გედიღორები.

# ქანი, რომელიც

## არის გვერდი პირების

ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის პორტ დალიანის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულს შედო ჰქვია, რაც ჩინურად „გველებისას“ ნიშანებს. შედოს ბინადრები, თავადაც მიხვდებით, გველები არიან, თანაც შხამიანები. ღმერთმა იცის, როდის აირჩიეს ამ ქვეწარმავლება საცხოვრებლად ეს ხულ თრი კვადრატული კილომეტრის ფართობის კუნძული. როგორც მეცნიერები ირწმუნებიან, თავად კუნძული მილიონი წლისაა და მატერიკს ჯერ კიდევ „მსოფლიო სახურავის“ – ჰიმალაის მთების ფორმირების პერიოდში გამოვყო.

მწვანე ბორცვები, ღრმა ხეობები და კლდეები – ამაზე კომფორტულ პირობებს გველებისთვის ვერც წარმოიდგენ და ისინიც აქაურობის ნამდვილი ბატონ-პატრონებივით იქცევიან.

ეს ახლა; თორებ არც თუ დიდი ხის წინ მათი ცხოვრება ასე უზრუნველი როდი იყო. ძალზე ხშირად გვალვის პერიოდში კუნძულის ბინადრებს მტკნარი წყლის პრობლემები უჩნდებოდათ. პერიოდულად რომელიმე დაუდევარი მეოუზების მიერ დაგდებული სიგარეტის ნამწვის მიზეზით აქაურ ტყეებს ხანდარი უჩნდებოდა. კუნძულზე გვე-

ლების შხამზე მონადირენიც და-თარეშობდნენ (გველის შხამი ფართოდ გამოიყენება ჩინურ მედიცინაში), ბრაკონიერებიც ხშირად ურღვევდნენ გველებს სიმშვიდეს (გველის ნაზი ხორცი ღელიკატესად ითვლება, მისი ლამაზი კანი კი ხელჩანთვების, საფულეების და სხვა ნივთების დასამზადებლად გამოიყენება).

ამჟამად შედო ნაკრძალია, მის ბინადრებს სახელმწიფო იცავს, ისინი საყოველთაო ზრუნვით არიან გარემოცულები. სწორედ ამ ზრუნვით ხსნიან სპეციალისტები იმ დემოგრაფიულ აუგოქებას, რომელიც ბოლო 10 წელიწადში შეიმჩნევა შედოზე, აქაურ ბინადართა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა და დღეისთვის 20 ათასს აღწევს. კუნძულის ენით აუწერელ სილამაზეზე ლეგენდები დადის, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე გაბედავს ამ ზღაპრულად ლამაზი კუთხის მონახულებას. საფრთხის მიუხედავად, შედო ერთ-ერთი პოპულარული საექსკურსიო მარშრუტთაგანია, თუმცა გველების სამეფოს სიმშვიდის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, სტუმრების რაოდენობა დღეში ასამდევა შეზღუდული.

შედოზე უამრავი სხვადასხვა სახის გველი ბინადრობს, მათ შორის უიშვიათესი ეგზემპლარებიცაა. ბევრი მათგანის სიგრძე ერთ მეტრს აღემატება. ზოგი სახეობა სეზონის მიხედვით იცვლის შეფერილობას, ამას კი ისინი იმისთვის აკეთებენ, რათა გარემოს შეერწყან და მსხვერპლი მოატყუონ.

კუველ შემოღომაზე კუნძულზე ასე ვთქვათ, „მუცვლის ზეიმი“ იმართება, თუ, რა თქმა უნდა, გველებს გააჩნიათ მუცველი, როგორც ასეთი. ზამთრობით კი ქვეწარმავლები ძილქუშს ეძლევიან და მაშინ მიბენდილი და დაუცველი, დასუსტებული გველები თვითონ ხდებიან დაუძინებელი მტრების მდრღნელების მსხვერპლი. ამ პერიოდში ნაკრძალის თანამშრომლებს სათავრის მსგავსი მახების დაგებაც კი უხდებათ. გაზაფხულზე ზამთრის შიმშილისგან



გააფთრებული ქვეწარმავლები გაორმაგებული ენერგიით ცდილობენ ძალების აღდგენას, ამასთან მხოლოდ შებინდებულზე და ღამძლამობით ნადიორებენ. ერთი შეხედვით მათი მოძრაობები ზანტი ჩანს, მაგრამ როგორც კი მსხვერპლი მათვის მისაწვდომ არეში მოექცევა, გველები ელვისებურ შეტევას ახორციელებენ. ზაფხულობით კი, როცა ფრინველები მიფრინავენ, საბრალო ასპიდებს სხვა არაფერი რჩებათ გარდა იმისა, რომ პაპანაქება სიცხეს გრძელ ნაპრალებსა და გამოქვაბულებში შეაფარონ თავი და მხოლოდ იოცნებონ გემრიელ ნადავლზე.

სადღეისოდ შედოს ბინადრებს ეველზე დიდ გვალვაშიც კი წყლის პრობლემა აღარ აწუხებთ. ნაკრძალში რამდენიმე ხელოვნური წეალსატევია, ხოლო სხვა მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად ნაკრძალის თანამშრომლები ხშირ-ხშირად აკითხავენ კუნძულს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქვეწარმავლები ზოგჯერ მათაც მტრულად ხვდებიან. ადამიანთა დანახვაზე გველები თევფშისებურად იგრაგნებიან, იძერებიან და ავად სისინებენ, მზად არიან ნებისმიერ წუთს ეგვეოთონ სტუმარს.

მაგრამ სერპენტიოლოგებს ამგვარი მასპინძლობა არ აშინებს, მათ კარგად იციან ქვეწარმავლების ხასიათი და ნირი. თუმცა კარგად ცოდნა, სრულად ცოდნას არ ნიშნავს, ამიტომაც არის, რომ შედოს კუნძულის ნაკრძალის შესწავლით ავსტრალიის მეცნიერებიც დაინტერესდნენ, რომლებიც ჩინელ კოლეგებთან ერთად ცდილობენ „ქვეწარმავლთა სამოთხის“ საიდუმლოთა ამოხსნას.



## რატომ ვამპობთ ასე?

**ფონს გახვდა** – სამშვიდობოს გასვლა, გასაჭირისთვის თავის დაღწევა. ფონი ის ადგილია, რომელიც ადამიანს შველოდა ერთი ნაპირიდან მეორეზე მშვიდობით გასულიყო. მერე და მერე ეს სიტყვა საერთოდ, გაჭირვებისთვის თავის დასაღწევად, შველისა და ხსნის ცნებად გადაიქცა.

**ფოსტის ცხენივით სირბილი** – დაუსვენებელივ სიარული. ძველად სოფელში გლეხებს ავალდებულებდნენ სოფლის კანცელარიაში ცხენი რიგ-რიგობით მიეკანათ ხოლმე სხვადასხვა მოხელის საჭიროებისთვის. ასეთ ცხენს ყველა სურვილისამებრ იყენებდა და საწყალს უცხენს დღე და ღამე მოსვენება არ ჰქონდა. აქედან, როცა კაცი იძულებულია შეუსვენებლივ იაროს, იტყვიან, ფოსტის ცხენივით დადისო.


**ფრანგული** – ძალიან მჭრელი, ფხიანი. ასე ეძახდნენ საუკეთესო ფოლადის ცალპირა მჭრელ ხმლებს ფშავ-ჩევსურეთში. როგორც ჩანს, ეს ხმლები ქართველებმა ფრანგებისა და სხვა ქრისტიან ეკროპელთაგან შეიძინეს პალესტინაში ჯვაროსნული ომის დროს. საქართველოში ძალიან ფასობდა საუკეთესო ფოლადისგან დამზადებული ხმლები, რომლებსაც ხალხმა ფრანგულები ანუ ფრანგების (ეკროპელების) გაკეთებული შეარქვა.

**ქუდზე კაცის გამოსვლა** – ყველა მამაკაცის გამოსვლა საბრძოლველად. იგულისხმება, რომ ქუდს ატარებს მამაკაცი, ვისაც ხელში თოფის დაჭერა და ბრძოლა შეუძლია.

**ქუაზე მიერება** – საქმის საბოლოოდ გაფუჭება. ყუა ხმლის, სხვა რკინის იარაღის ზურგია. შეიძლება ბევრი ხმარებით, თუნდაც ხშირი გალესვით პირი ისე დაილიოს, გაცვდეს, რომ ჩლუნგი, გამოუსადეგარი ყუაღა დარჩეს.

**წყლიდან ლოქოს გამოთრევა** – საქმეში გამარჯვება, წარმატება. ლოქო დიდი თევზია და მისი დაჭერა წყალში მებადურებისთვის დიდ წარმატებად ითვლება.

## რა და რა ჰევია რას და რას



## სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის გადასაცნობის სახელი

**ნამზღვევი** – ჩამნგრეული, ჩამოწოლილი.

**ნანდაური** – სასურველი, საყვარელი ადამიანი.

**ნამხრევი** – თიბვის დროს ზოლად დაწვენილი ნათიბი.

**ნატისუსალი** – მატყლის, ბაჭის და მისთანების ნამწვევის სუნი. ტრუსის სუნი.

**ნახორხალი** – საჭმლის (პურის, მჭადის...) ნამტვრევები.

**ნებისერი** – ზედმეტი მზრუნველობით გალაღებული, უზრუნველისი.

**ნირი** – წესი, რიგი, გეზი; ზნე, ხასიათი.

**გული** – დაშაქრული ნუშის გული.

**ორთავები** – ტრუის ხოფი წყალში მოსასმელად.

**ორომა** – თხელი ფიცარი ცომის გუნდების გასაძრტყელებლად და თონქესთან მისატანად.


**პერი** – გარეგნული ბრწყინვალება, კარგი შესახედაობა, ლაზათი.

**პურშავი** – პურძვირი, ძუნწი.


# ბანი, ლიადენი, ფონე ანუ პატომგლების ბირჩავის

თურმე დღეს დედამიწის გზებზე 700 მილიონზე მეტი სხვადასხვა სახის – მსუბუქი, ორთქლის ჭავლის რეაციული პრიციპით სატვირთო, ავტობუსები – ავტომანქანა მოძრაობს, სულ რაღაც საუკუნენახევრის წინ 1769 წელს ფრანგმა გამომგონებელმა ნიკი ქუჩაში გამოჩენილი პირველი „უცხენო ეკიპაჟის“ დანახვაზე, ხალხი გულგახეთქილი გარბოდა.

საუკუნეები მოანდომა კაცობრიობამ დედამიწაზე გადაადგილების სწრაფი და მოხერხებული საშუალების შექმნას. მთელი ეს ხანი ცხენი, ვირი, ჯორი თუ აქლემი თუმცა კი ერთგულად ემსახურებოდნენ ადამიანს, კიდევ გადაპყვავდათ იგი, ტვირთებიც გადაპქონდათ და სასოფლო-სამეურნეო სა-



მარი უსილის ბანი



დაიმლურის ავტომობილი

მუშაობშიც ეხმარებოდნენ მას, მაგრამ დრომ მოითხოვა და ადამიანმა დაიწყო ფიქრი, რა ეღონა, რათა შორ მანძილზე გადაადგილება და ტვირთების გადაზიდვა გაავილდა.

პირველი თვითმავალი ეტლის იდეა ეკუთვნის გენიალურ ლეონარდო და ვინჩის. 1515 წელს მან წარადგინა სამხედრო მიზნების სთვის განკუთვნილი თვითმავალის პროექტი, რომლის მიხედვითაც თვლები წინასწარმეტი ზამბარას უნდა ემოძრავებინა. მა-

ორთქლის ქვაბიდან წნევით გამომავალი მოქმედი თვითმავალი ეტლის პროექტი.

1769 წელს ფრანგმა გამომგონებელმა ნიკოლა უსილი კიუნიომ შექმნა ორთქლის მრავაზე მოუშავე ავტომობილის მსგავსი პრიმიტიული თვითმავალი ეტლი (ავტომობილის ეს შორეული წინაპარი დღეს პარიზში ხელოვნების და ხელოსნობის მუშეულის ექსპონატია), რომელმაც გააოცა ყველა, მაგრამ გამოყენება ვერ პპოვა. ერთი საუკუნის შემდეგ კიუნიოს თანამემულებელი, ინჟინერმა ბო დე როშამ წამოაყენა ოთხტაქტიანი ძრავის იდეა, რომელსაც ხორცი გერმანელმა კონსტრუქტორმა ნიკოლაუს ავგუსტ ოტომ შეასხა. 1860 წელს ფრანგმა მექანიკოსმა ეტიენ დენუარმა გამოიგონა პირველი ძრავა, რომელიც გაზრდის მუშაობდა, მაგრამ არც ეს ძრავა გამოდგა ავტომობილისთვის ვარგისი.


როგორც ხედავთ, მექანიკური ძრავით აღჭურვილი ბორბლიანი მანქანის იდეაზე ძირითადად ევროპელები – ფრანგები და გერმანელი გამომგონებლები, ინჟინერკონსტრუქტორები მუშაობდნენ და, თუმცა XIX საუკუნეში ავტომობილის გამომგონებლის სახელს 411 ადამიანი ჩემულობდა, ოფიციალურად ავტომობილის შექმნელად აღიარებულია ორი გერმანელი ინჟინერი – გოტლიბ დაიმლერი და კარლ ბენცი. საინტერესოა, რომ დაიმლერი და ბენცი საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს და მოხდა ისე, რომ ორივემ ერთდროულად, ერთ წელს – 1885-ში ააწყო შიგაწვის ძრავაზე მომუშავე „თვითმავალი ეტლი“ და მისი გამომგონებელის საავტორო პატენტიც მიიღო. კიდევ ერთ გერმანელს, რუდოლფ დიმკუმშულ ზამბარას უნდა ემოძრავებინა. მაზელს მიუძღვის დიდი წვლილი ავტომობიგრამ ეს პროექტი არ განხორციელდა, ისევე ლისა და ძრავის შექმნა-გაუმჯობესებაში. როგორც 1689 წელს ისააკ ნიუტონის მიერ ძრავა, რომელსაც მისი სახელი ჰქვია, უა-



ნადოღოვ დიზელი

მრავი მანქანა-დანა-დგარის უცვლელი კომპონენტია დღე-საც. გერმანელები გულგრილად შე-ხვდნენ თანამემამუ-ლეთა გამოგონებას, ის კი არა, საზოგა-დოება ღელავდა, პოლიციამ არ უნდა დაუშვას, რომ ბე-ნზინიანმა ეტლებმა მსოფლიოს სა-ფრთხე შეუქმნასო. 1892 წელს თავისი პი-რველი მანქანა ააგო ფორდმა.

დღეს ამ „თვითმავალ ეტლს“ ავტომო-ბილი ჰქვია (ბერძნული *autos* – „თვითონ“ და ლათინური *mobilis* – „მოძრავი“) და მას მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აწარმო-ებს. სტატისტიკით დადგენილია, რომ ევ-ლაზე მეტ (წელიწადში საშუალოდ 8,5 მი-ლიონი) მსუბუქ მანქანას დღეს იაპონიაში აწარმოებენ, მომდევნო ადგილებზე არიან: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, სა-




ბენზის ავტომობილი

მხრეთ კორეა, კანადა, ბრაზილია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი.

ნებისმიერი ავტომობილის (მსუბუქი, სა-ტვირთო, ავტობუსი) ღირსების ძირითად მა-ჩვენებლად დღეს ითვლება: წევის თვისებები, წონის გამოყენების კოეფიციენტი, გაბარი-ტის გამოყენების კოეფიციენტი, გამავლობა, საწვავის ხარჯვის ეკონომიურობა, საიმედო-ობა, მანქანულობა, მდგრადობა, ელასტიკუ-რობა, ტევადობა, ტვირთამწეობა, მართვისა და მოვლის სიმარტივე, დიზაინი და სხვ.

# ავტომანქანი



1. „მინერვა“ (გალგია, 1913 წ.) 40 ტბ. ქლ.  
სიჩქარე-საათში 90 კმ.
2. „პაპარდი“ (აშშ, 1928 წ.) 106 ტბ. ქლ.  
სიჩქარე – 120 კმ.
3. „დიუზენბერგი“ (აშშ, 1932 წ.) 320 ტბ. ქლ.  
სიჩქარე – 210 კმ.
4. „პირს ერუ“ (აშშ, 1935 წ.) 125 ტბ. ქლ.  
სიჩქარე – 185 კმ.
5. „ვორდი“ (აშშ, 1936 წ.) 125 ტბ. ქლ.  
სიჩქარე – 175 კმ.
6. „სტუდაბერი“ (აშშ, 1962 წ.) 250 ტბ. ქლ.  
სიჩქარე – 210 კმ.



გვაკმარე ტანჯვა  
ორათას წლისა,  
გვადირსე წვიმა  
ნაკურთხი წყლისა,  
ფერი იცვალოს  
ამ შავმა ცაქ.  
მითხარ, უფალო,  
თუნდ ერთი რამ-  
ვინ მიღის მაღლა,  
მიჰყება კვაძლს,  
ვინ უნდა მიჰყებს  
უფარულის კვალს.  
ვიღაცის სიცოცხლე  
ჯოჯოხეთს ჰგავს,  
ვიღაცას სამოთხე  
ნანატრიც აქვს.  
გაივლის დრო და  
შველა მიხვდება,  
რომ გულქვაობით  
ვერას მისწვდება,  
ბოროტის სული  
შავში იხრწება,  
კეთილი სული კი  
თეთრი რჩება.  
ჩვენ თუ თავს ვიქებთ  
და თავს ვადიდებთ  
დაე, სიმართლეს  
თავს რად ვარიდებთ  
ეს მართალია—  
ჩვენ გვიან ვიგებთ  
და ბოროტებაც  
ამითი გვიგებს.

კაბა დალაქიშვილი,  
თბილის 126-ე სკოლის IX კლასი

## ვიზები უწოდოორი თავმისი

ინდიელები თავის მოყასინებზე თავიანთი ცხოვრების აწმყოს, მომავალსა და წარსულს გამოხატავდნენ. ამას ასე აღნიშნავდნენ: წარსული — უკან გაშვერილი ორი შავი ხაზით; აწმყო — ერთი წითელი ხაზით; მომავალი კი წინ წაშვერილი სამი ლურჯი ხაზით.

თორმეტი წლის ბიჭის განვლილი გზა არცო ისე დიდა.

მახსენდება — დედა, მისი წაკითხული „ჩიტო, ჩიტო, ნაცარა“, ჩემი საყვარელი ლურჯი მანქანა, სამშობიარო სახლილან გამოყანილი ჩემი უმცროსი ძმის გაცნობა, აივაზზე სპეციალურად გამოტეხილი სათვალოთვალოდან დანახული ჩენი... შემდევ — საბაქშო ბაღი; ჩემი საყვარელი აღმზრდელი, სამზარეულოს კედლზე გაცრულ კაცელზე ნასწალი გამრავლების ტაბულა, საქნელადან ჩამოგარიზნილი ჩემი თავი — გატეხილი ცხიირ-პირით... შემდევ — სკოლა; ჩემი პირველი მსწავლებელი, პირველი გაცემილი, პირველი მერხი, მერხის პირველი ამხანაგი და პირველი წიგნი. ყოველივე ზემოთ ჩამოგვლილს ძალზე სერიოზული ადგილი უკავა ექვსი წლის ბიჭის ცხოვრებაში.

მას შემდევ ბერე რამ შეიცვალა. შეძრილი მეგობრების რაოდენობა თანაბათ იზრდება, მხრდება ჩემი ცოდნის სივრცეც ყოველი დღე სულ უფრო შინაარსიანი ხდება.

მჯერა, მომავალი უფრო ნათელი და საინტერესო იქნება; მჯერა, რომ ჩემი ოჯახი ბერინირი და მხიარული იქნება. ვიქენები კარგი მამული მვილი, კარგი პროფესიონალი, კარგი მეგობარი, კარგი ამხანაგი, კარგი ძმა, კარგი შეოლი, კარგი მამა...

ვიქენები უბრალოდ ადამიანი!!!

## წრი მოუსონს ჩემი ცაშმობრო

მიყვარს ჩემი სამშობლო — საქართველო, ძალიან მიყვარს. ჩემი ქვეყანა იმდენად პატარაა, მსოფლიო რუკაზე პაწაწინა წერტილით არის აღნიშნული, მაგრამ ჩემთვის იგი უსასრულოდ დიდი, ძალიან ლამაზი და საყვარელია. მიყვარს ჩემი სამშობლო — საქართველო, თუმცა ჯერ მისი ძრავალი კუთხი არ მომინახულებია, მაგრამ მაინც მიყვარს — საქართველო მისხალ-მისხალ, მტკაველ-მტკაველ, გოჯა-გოჯა, რადგან ჩემთვის სამშობლო ჩემი სოფელია, ჩემი პაპის ვენახში მწერივში გაჭიმული ვაზი, ცვარდაკიდებული ქარვისფერი ჭურძენი, ცეცხლზე შემოღმეულ მურიან ქვაბში მოთუხთუხე თათარა, მზეზე გასაშრობად გამოკიდებული ჩურჩხელების ჯარი, ქვევრი-დან გადმოსული გიში მაჭარი და აწიოლებულ თონეში ჩატრული შოთა პური, კიბის ქვეშ მერცხლის ნაოსტატარი ტალახახელილი ბუდე, ჭიშკართან ტოტებაშლილი შავადგაპენტილი თუთის ხე. სოფლის თავში ყინულივით ცივი, ჩეხჩუხა ნაკადული, ნათლისმცემლის თაღამონგრეული ტაძარი, მცხუნვარე მზე და ნაზა სიო, მოწმენდილი ცა და კაშაშა ვარსკვლავები, ალიონზე ყელმოღერებული მამლის ხრინწანი ყივილი და მხრებდამძიმებული კავკასიონი...

ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო — საქართველო, რადგან ჩემთვის სამშობლო ჩემი თბილისია, მტერ-მოყვარიანი ქართლის დედა, ბულში გახვეული ჭავჭავაძის გამზირი, ვაკის პარკი, ცას მინარცხებული შადრევნი და ხიდნ ხეზე გადაშტარი ციფვი; მიყვარს ჩემი ბინის მყუდრი კედლები, ოთახის ერთ კუთხეში დასევნებული იქნი ქრისტესა და ქართველ წმინდათა ხატები, სარჯახო ფოტო, ფანჯარაში შემოჭრილი ჭადრის ტოტები, აივნიდან დანახული მდინარე ვერეს ხეობა, კარს მომდგარი სტუმრის ზარი და დედის მომზადებული თბილი სადილი; მიყვარს ჩემი სკოლის კირწასმული საკლასო რთაში, კედლებდან მომზირალი ილია, აყავი, ვაჟა, გალაკტიონი, წრიალა ზარი და კიბის გაცვეთილი საფეხურები...

ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო — საქართველო, რადგან ჩემთვის სამშობლო ჩემი და-ძმა, ერთი წლის ლურჯოთვალა მზეთუნახავი მარიამი და ფეხბურთზე უსაზღვროდ შეევარებული ნოდარი, ჩემი მშობლები, მუდამ მოფეხსფუსე აღრისანი დედა და მზრუნველი მამა, ჩემი დედულ-მამული და წინაპართა საფლავის ქვები...

ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო — საქართველო, რადგან ჩემთვის სამშობლო ჩემი ქაბაზებული, ზაფხული, შემოღმომა და ზამთარია, ახლადღიაბადებული ხასხასა მწვანე ბაღაზი, უჟუნა წვიმა, აფეთქებული ატმის რტო, თავრია სიცხეში მოფარფატე ჭრელი პეპლები, გადამხმარი ყვითელი ფოთლები, უცბად ამოგარდნილი ქარიშხალი და ქათქათა თოვლი...

ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო — საქართველო, რადგან ჩემთვის სამშობლო ჩემი ნათლისის ჯვარია, შობა-ახალი წელი, აღდგომა, გიორგობა, მარიამობა, ფერისცვალება; ჩემი ქაშუეთი, შეტეხი, სიონი, მამა დავითი, ლურჯი მონასტერია...

გავავები გავავების შეარდაშეარა

# ვისი აძაგი ტქონის და ტვანარებს

30 წელია, რაც გულიყო ქურდიანი სკოლაში მუშაობს. ვინ მოთვლის, რამდენ პატარას გაუკვალა ამ ხნის განმავლობაში გრა ცოდნის სამყაროსენ, რამდენ თვალმახარა გოგო-ბიჭს გადააშლევინა პირველად „დედა-ენა“, რამდენს ჩაუსახა სულმი სიყვარულის, სიკეთის შარცვალი...

სულხან-საბა ორბელიანის სახელმის პედაგოგური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგებად სკეციალისტი განაწილებით სოფელ ბანის საშუალო სკოლაში მოხვდა. სწორედ იქ ჩატარა პირველი გაცემითილი, იქ დაუძახეს პირვე-



ლად მასწავლებელი. ძლიერ დაიოცა მაშინ ოდნავ დაბნეულმა ახალგაზრდა პედაგოგმა მღელვარება, მერე ერთი გაულიმა თავის პირველ მოსწავლეებს და ყველაფერმა ერთგად ჩაიარა.

გულიყო ქურდიანმა ეს გამოცდა წარჩინებით ჩაბარა და ყველას, პირველ რიგში, საჯუთარ თავს დაუმტკიცა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ სწორი არჩევანი გააკეთა. როგორ გამოადგა ახალგაზრდა მასწავლებელს ინსტიტუტში შეძენილი ცოდნა, იქაური პროფესორ-მასწავლებების მიხეილ ჩინჩალაძის, ვლადიმერ გაგუას, ვალერიან რამშვილის გაკვეთილები, მარტო პედაგოგობას კი არა, ადამიანობას, მამულიშვილობასც რომ ასწავლიდნენ. (სხვათა შორის ვალ. რამიშვილმა საკუთარ წიგნში თავისი ყოფილი სტუდენტი გულიყო ქურდიანი საუკეთესო მასწავლებელთა შორის დასახელა). შეიდი წელი იმშვავა ბანიაში და დღესაც დიდი მაღლიერებით ისხენებს იქაურ მოსწავლეებს, კრისტიან და სკოლის დირექტორს სიძონ გაბუნიას. თბილიშიში ჩამოსული დაოჯახდა, (დღეს ქალბატონი გულიყო სამი შეილის და ოთხი შეილიშვილის ბებია გახლავთ) მუშაობა კი 115-ე საშუალო სკოლაში გააგრძელა, ხოლო როდესაც გლოდანის მეხუთე მიკრორაიონში 191-ე სკოლა გაისხნა, აქ გადმიერიდა სამუშაოდ და დღესაც აქ ემსახურება ბავშვების აღზრდა-განათლების საპასუხისმგებლო საქმეს.

ხომ ამდენი ხანია, რაც სკოლაში მუშაობს, მავრამ არც ნაკისრი მაღალი პასუხისმგებლის გრძნობა განელებია, არც ხალის და ენერგია დაშრეტია. კვლავაც მასწავლებლის უკეთოლშობილების მისიის შეგნებით საქმიანობს, კვლავაც ჩვეული სიყვარულით, ერთგულად ემსახურება საქმეს, დაუღალავად, ცოდნით, სიკეთითა და სიყვარულით ასპარდოებს პატარების გონებას, სულსა და გულს და მათი სახით ქვეყანას ჭეშმარიტ მამულიშვილებს უზრდის.

## ყველაზე იცი ქველობელები

ინილისმი გაღერება „მარცხნიმ“, საქველმიშვილი აქციის ჩარჩობში მოწოდილ გამოიყენება ბაშვთა ნაშემებარი ერამტეული ფუფურებისა და გმოცმულობა „დოკუმენტის“ საბუქო წიგნების გამოიყენებულიდა მოწყო. სუვე გამართა წმინდასის სტუდენტების დაუტანა, სადაც „დოკუმენტის“ მიერ დაწესებული წიგნები და კრამტეული ფუფურები გამოაშვა.

ღონისძიების ორგანიზაციები იუნინ არასამთავრობო ორგანიზაცია „მოსამართი განვითარების ცენტრი“, გმოცმულობა „დოკუმენტი“ და „საოჯოხო სტუდია“. შემოსული თანხა იმოლ და შერწყელობამოულებულ ბავშვია სახლს „რწმენას“ მოხმარდა.

ამ ბაშვთა სახლში 2-დან - 12 წლამდე ასეთის 70 უკატრონი ბაშვი ბინადრობს, როგორიაც 37 სკოლის მოსწავლეა, დანარჩენი კი სკოლა-მდელი ასეთია. თავშესაფარში კვებისა და თანმმროობების ხარჯებს ქავაქის მერია უზრუნველყოფს სხვადასხვა დღესასწაულების დროს კი გურიოც ებრძობა. ეს ბოლო აქცია როგორც ბაშვები სახლის ერთ-ერთი კრძალების მუვავებას ისახავა მიზნად, მეტად ნაყიფებია აღმოჩნდა.

მარხვის პირველ კვირს, (11 მარტს) აქციის ორგანიზაციები ხელდა-შვენცებული წესიერნი იქ მოვა პატარებს, ფეხსაცემელები წინება, სპორტული შეაჯებები და ორილინგები გადასცეს მთ. საჩუქრების ძლიან გახარის.

ბაშვების მოსახსულებლებდაც „სარჯხოს“ აღსახველებულ იუნინ: ნება ბურდული, თამარ გოგორიშვილი, თომა დანერა, ჯემალ განგლაძე, გორეგი და სოფელ მისურაძების, პატარა ხარატიშვილი, რქიშო და მარიან ჩიქოვანები. როგორც გარეუა, „რწმენას“ ბაშვების გმოცმუნი ეკვლებები მუტად პატარა ხარატიშვილის მიერ შესრულებული „სპლოუშ“ მოსწონე ბათათ.

„შევარ აქციას მაღლები არა აქვთ. დღევანდველი შეხვედრა, ბერძად უკრია მაშენებლებია აღმოჩნდა. ის შევება, რაც გმოცმუნი გმოიღო, დღეს თვალსაჩინო გმოიჩნდა. ამ ღონისძიებას დაუზიმევდებ კველის უკრია და ქველმოშედებას, რაღვე, აქ ბაშვები ებრძობან ბაშვებს“ - აზიშა ბარების მასწავლებლის დარწმუნებულ „სპლოუშ“ მოსწონე ბათათ.



„სარჯხოს“ ხელმძღვანელმა მარა ინირიამ.

აქციის ღასისრენის, „რწმენას“ ბაშვების გველა დანარჩენი საჩუქრის განდა, „დოკუმენტის“ მიერ გმოცმული წიგნებიც (საბო კოჭია), „არააღნას ძაფი“, „ალი ბაბა“, „რწმენებულ მუსიკისაც“ და სხვ.) გადასცეს.

გმოცმულობა „დოკუმენტის“ ღარებულობა თამარ ლებანიშვილი განახადა: „არაური სკოლის მას, როგორც ბაშვები ბაშვებს ებრძობან. სამწარ-როდ დღევანდველი ქრისტენი ბაშვებისთვის სხვასი გაჭრვება არ არის უცხო და გასცემორი. მათ ხმირად შეიძლება უნდებირდეთ ქველმოშედების სურველი. მაგრამ განხორციელების სტუდენტები მეტად უკრია და ა ამ შემთხვევაში, მათ თვალსაჩინო გმოიღოს შესაძლებლობა მოცათ. ძალიან კაუგა, რომ ასეთ კოილმობილურ საქმეზე დასაჩუქრების“.

გმავასულის მოსელის, ბაშვთა სახლის „რწმენას“ ბაშვები ამ აქციით გახალისებულები და გახარებულები შეგვენენ.

ნები კუსრავილი

# ცატოვანის ასტ-ჭერით ლამენტისა და ცატოვანის ასტ-ჭერით ლამენტისა

ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი სა-  
შუალება, როგორც ცნობილია, ბერითი მე-  
ტყველებაა. თუმცა ბერითი მეტყველების  
შესაძლებლობები თითქმის ამოუწურავია,  
მას მაინც აქვს ორი არსებითი ნაკლი: შე-  
ზღუდულია დროითა და სივრცით – ლაპა-  
რაკი ისმის მხოლოდ საუბრის მომენტში  
და ისიც განსაზღვრულ მანძილზე. ბერითი  
მეტყველების ამ ნაკლოვანებას ავსებს და-  
მწერლობა, რომელსაც მოეპოვება საშუ-  
ალება ნააზრევ-ნალაპარაკევის ფიქსირებისა  
(დაწერა) და თითქმის მუდმივად შენახვისა.  
წერილობით გაფორმებული აზრი ფაქტი-  
ურად შეიძლება გადაიცეს განუსაზღვრელ  
მანძილზე. არსებობს წარწერები, რომლე-  
ბიც რამდენიმე ათასი წლის წინათ არის  
შესრულებული. ამგვარად, დამწერლობა  
ადამიანთა ურთიერთობაში ბერითი მეტყვე-  
ლების დამხმარე საშუალებაა. ამასთან, შე-  
იძლება ითქვას, რომ დამწერლობის უქო-  
ნლად თანამედროვე ცივილიზაციას არ ექნე-  
ბოდა ისეთი სახე, როგორიც აქვს. დამწე-  
რლობას, ისევე, როგორც ყოველ საზოგა-  
დოებრივ მოვლენას, გავლილი აქვს განვი-  
თარების საკუთარი გზა, უმარტივესი სახი-  
დან სრულქმნილ ფორმებამდე. ამასთან, თუ  
ადამიანის ისტორია რამდენიმე ასეულ ათას  
წელს მიითვლის, დამწერლობის უმარტი-  
ვესი სახეები მხოლოდ ამ 8-9 ათასი წლის  
წინათ გაჩენილა.

დამწერლობა პირველად იმ ქვეყანაში წა-  
რმოიშვა, სადაც ჩასახვა იწყო ქონებრივმა  
და სოციალურმა უთანასწორობამ, კერძო  
საკუთრებამ და კლასებმა, სადაც შეიქმნა  
შედარებით კარგი პირობები ვაჭრობის უმა-  
რტივესი ფორმების განვითარებისათვის.


დადგენილია დამწერლობის ოთხი ძირი-  
თადი ტიპის არსებობა: პიქტოგრაფიული  
ანუ ხატოვანი, იდეოგრაფიული, მარცვლო-  
ვანი და ასო-ბგერითი.

უძველესი და უმარტივესია ხატოვანი და-  
მწერლობა. იგი იმდენად მარტივი და და-  
უდგენელია, რომ ზოგიერთი მკვლევარი  
არცენი მიიჩნევს დამწერლობად, რადგან იგი  
გადმოცემს მხოლოდ შინაარსს და ვერ ახე-

რხებს ენის ფორმის გადმოცემას. ხატო-  
ვანი დამწერლობისთვის დამახასიათებელია  
ერთი გარკვეული ნიშნით (ნახატით) მთელი  
ცნების დასრულებული აზრის გადმოცემა.  
მაგრამ შეიძლება მოცემული ნახატის მრა-  
ვალ ვარიანტად გააზრება, მასში სხვადა-  
სხვა შინაარსის წარმოდგენა. ხატოვანი და-  
მწერლობის წარმოქმნის დროდ ნეოლითი-  
დან ენეოლითზე გარდამავალ ხანას მიიჩნე-  
ვენ. ეს დრო ჩვენგან 7-8 ათასი წლით არის  
დაშორებული, მისი უძველესი ნიმუშები და-  
დასტურებულია ნილოსის დაბლობზე (ეგვი-  
პტე), მესოპოტამიაში (შუმერი), შორეულ  
აღმოსავლეთში (ჩინეთი). იგი გვიანობამდე  
შემორჩა ამერიკელ ინდიელებში, ჩრდილო-  
ეთის ხალხებში და ა.შ.

საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი  
დაწინაურება, საზოგადოებრივი ცხოვრებისა  
და სამეურნეო საქმიანობის შედარებით  
რთული ფორმების წარმოქმნა საჭიროს  
ხდის დამწერლობის გაუმჯობესებასა და  
სრულქმნას, რაც ხატოვანი დამწერლობი-


Несколько типов	Финно-угорские надписи				Древнееврейские и чавакийские надписи			
	Английский	Латынь	Арабский	Китайский	Иврит	Санскрит	Славянский	
zhet	zhet	zhet	زهت	ዘት	זֶת	जेत	зет	
gimel	gimel	gimel	جيم	גִימֵל	גִימֵל	गिमेल	гимель	
daiet	daiet	daiet	دایت	דַיְםָל	דַיְםָל	दायेल	дайел	
he	he	he	هـ	הֵ	הֵ	हे	хе	
waw	waw	waw	وـ	וּוּ	וּוּ	वू	ху	
zayin	zayin	zayin	زـ	זֵין	זֵין	वै	ху	
het	het	het	هـ	חֵת	חֵת	हे	ху	
jod	jod	jod	جـ	יֵדָ	יֵדָ	दे	ху	
kaif	kaif	kaif	كـ	קֵיף	קֵיף	कैफ	ху	
lamet	lamet	lamet	لـ	לְמֵת	לְמֵת	लैमेट	ху	
mén	mén	mén	مـ	מֵן	מֵן	मैन	ху	
nun	nun	nun	نـ	נֵן	נֵן	नैन	ху	
samech	samech	samech	سـ	סֵם	סֵם	सैम	ху	
zain	zain	zain	زـ	זֵין	זֵין	रैन	ху	
pé	pé	pé	پـ	פֵּה	פֵּה	फै	ху	
zide	zide	(z)	زـ	צֵידָ	צֵידָ	चैड	ху	
rei	rei	rei	رـ	רֵיָ	רֵיָ	रै	ху	
sin	sin	sin	سـ	סֵין	סֵין	सैन	ху	
taw	taw	taw	تـ	תֵּאָ	תֵּאָ	तै	ху	



უძველესი ფინურული და ებრაული  
დამწერლობის ნიმუში.  
ჩრდილოეთი კავკასიის მთების  
წარწერა X-XI ს. ჩ. ერამდე.

X	*	*	X	и	ъ	т
z	е	е	v	я	ю	ш
pa	pe	pi	po	pu		
ta	te	ti	to	tu		
ka	ke	ki	ko	ku		
Y	ս	ս	ս	ս	ս	ս
sa	se	si	so	su		
za			չ	չ		
յ						
ma	me	mi	mo	mu		
na	ne	ni	no	nu		
la	le	li	lo	lu		
ra	re	ri	ro	ru		
wa	we	wi	wo			
ya	ž	ye				
ksa	kse					

მარგალი და ებრაული  
დამწერლობის ნიმუში.  
დამწერლობის ნიმუში.  
დამწერლობის ნიმუში.




იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუში.

საგან იდეოგრაფიული დამწერლობის წარმოქმნით გამოიხატება (ეგვიპტე, შუმერი, ჩინეთი, ინდოეთი, კ. კრეტა და ა.შ.).

იდეოგრაფიული დამწერლობისთვის დამახასიათებელია ერთი ნიშნით მხოლოდ ერთი სიტყვის გადმოცემა. ასე რომ, წინადადება ნიშნებისაგან შედგება. მაგრამ ეს დამწერლობა, რომელიც 5000 წლის წინათ (ძვ. წ. III ათასწლეულში) გაფორმდა, გამოიჩეოდა დიდი სირთულით, ნიშნების სიმრავლით, გრამატიკული განუვითარებლობით. ამის გამო ხდება დამწერლობის შემდგომი სრულქმნა, რის შედეგიც იყო ე.წ. მარცვლოვანი დამწერლობის გაჩენა. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, აქ ცალკეული ნიშანი მთელ სიტყვას კი არ აღნიშნავს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს – მარცვალს. მარცვლოვანი დამწერლობის ჩასვა უკვე III ათასწლეულშივე იწყება (შუმერული), მაგრამ მისი საბოლოო გაფორმება ძვ. წ. II ათასწლეულში (ასირო-ბაბილონი, კ. კრეტა, კ. კვიპროსი) და I ათასწლეულის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა (ურარტე, აქემინიდური სპარსეთი).

სამეურნეო ცხოვრების კიდევ უფრო გართულება, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაცხოველება და გაფართოება საჭროს ხდის დამწერლობის კიდევ უფრო გამარტივებასა და სრულქმნას. ასეთი ვითა-



ჩრდილო ამერიკის ინდიელთა დამწერლობის ნიმუში. (პიტოგრაფიული დამწერლობა).

იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუში.



რება ყველაზე უკეთ გამოხატული იყო ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების ფინიკიაში, რამაც ფინიკიელები მიიყვანა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენამდე – ასო-ბგერითი დამწერლობის შექმნამდე.

შემდეგში ფინიკიურ დამწერლობას გაეცნენ ბერძნები, რომელთაც მას ხმოვანების აღსანიშნავი ნიშნები დაუმატეს. ეს ნიშნები ფინიკიურს არ გააჩნდა და ძირითადად დაამთავრეს ასო-ბგერითი დამწერლობის გაფორმება. თავის მხრივ, ბერძნული ანბანი შემდეგში დასაბამს აძლევს ლათინურ, ეტრუსკულ, სლავურ დამწერლობებს.

ასო-ბგერითი დამწერლობისათვის დამახასიათებელია ნიშნების მინიმალური ოდენობით აზრის ზუსტი გადმოცემა, მისი სრული ფიქსირება, ენის ფორმების სრულქმნილად ასახვა და ბგერითი მეტყველების სიახლოვისკენ სწრაფვა. ამ მხრივ ერთი სრულქმნილთაგანია ქართული დამწერლობა, რომელსაც არ შეუნახავს არცერთი ფუნქციადაკარგული, ან სახენაცვალი სამწერლობი ნიშანი. ქართული ისტორიული ტრადიცია ქართული დამწერლობის შექმნას ძვ. წ. IV და III საუკუნეების მიჯნით ათარიღებს, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილობითი ძეგლები, ჯერჯერობით, მხოლოდ V საუკუნისა გვაქვს.

ღ. ხახუტაშვილი

## პასუხი-ჩვენი



ერთხელ ამერიკელი ფოტო-გრაფი კ. სანდვედი ვაშინგტონის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმის სხვენში დაცულ ეგზოტიკური პეპლების კოლექციებში იქვემდოდა და სულ ზევით, ლამის ჭერქვეშ მოქცეულ ყუთში აღმოაჩინა ჩინეთის ბინადარი პეპლა, რომელსაც ყოველ ფრთაზე ჩახჩახა წითელი ფერის ციფრი 1 პქონდა გამოსახული. სანდვედი გაოცდა. მან თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა და უიშვიათეს სახეობათა პეპლების უამრავი ფოტო გადაიღო, მაგრამ მსგავსი გამოსახულება არც ერთი მათგანის ფრთებზე არ უნახავს არც ბრაზილიის ჯუნგლებში და არც ახალი გვინეის ტყეებში. მას შემდეგ ფოტოგრაფი თავისი ექსპედიციების დროს განსაკუთრებული ინტერესით სწორედ პეპლების ფრთებზე აღდეჭდილ უცნაურ გამოსახულებებს აკვირდებოდა.

ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად სანდვედმა დაადგინა, რომ ამ მშვენიერ მწერებს ფრთებზე შეიძლება აღმოუჩინოთ ყველა ციფრი (1-დან 0-მდე), ყველა სასვენი ნიშანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ლათინური ანბანი და ბევრი ბერძნული ასო.

ცხადია, სხვადასხვაგვარი სახეები პეპლების ფრთებზე სრულიად შემთხვევით გავს ციფრებსა და ასოებს. ამ ლაქებისა და ასოების მთავარი ამოცანა კი მწერის შენიდბვაა, რაც აუცილებელია მტაცებლებისაგან თავის დასაცავად.

# ისტორიას ნიშნავე გენი სახელი?

## კართული სახელები

მიქელა, მიხეილი – (ძვ. ებრ.) „ღვთის სწორი“, „ღვთაებრივი“.

მუში – სვანურად „სვანს“ ნიშნავს, სხვა ვარაუდით კი ეს ხურიტული სახელია და „დიადს“, „ამაღლებულს“ ნიშნავს.

მუხრან – ქართული სახელია, „მუხანი“, „მუხისა“.

ნარიმან (ირან). – „გულადი“.

ნასყიდა – – ქართული სახელია.

ნიკოლოზ (ბერძ.) – შედგება ორი სიტყვისაგან: ნიკე – „გამარჯვება“ და ლაოს – „ხალხი“. ნიკო, ნიკა ამ სახელის ქართული მოფერებითი ფორმებია.

ნოდარ (სპარ.) – „ახალმოსული“, „ახლად მოვლენილი“.

ნორმანი (სპარ.) – „სულით უკვდავი“. რაუდოდ მომდინარეობს მეგრული ძღაბის რობარ (არაბ.) – „სურნელოვანი“, „წა-

მალი“.

ომარ (არაბ.). – „სიცოცხლე“.

პატა – ქართული სახელია და „პატარას“, „უმცროსს“ ნიშნავს.

პატლე (ლათ.) – „პატარა“, „მცირე“.

პატუნა – ქართული სახელია, „პაპისა“.

პეტრე (ბერძ.) – „კლდე“, „ლოდი“.

რატი (ირან.) – „ბატონი“, „პატრონი“.

რეპზ (არაბ. სპარ.) – „კმაყოფილი“.

საბა (არამეული) – „მოხუცი“, პაპა“.

საჩინო, სესე, სესია, სეხნია, სო-სანა – ქართული სახელებია.

სიმონ (ძვ. ებრ.) – „შესმენილი“, „გამგონე“, სიკო ამ სახელის მოფერებითი ფორმაა.

სოლომონ (ძვ. ებრ.) – „წენარი“, „მშვიდობისმოყვარე“.

სულხან (არაბ.) – „სამართლიანი“.

ტარიელი – შესაძლოა ირანული დარიელ-ისაგან მომდინარეობდეს, რაც „მეფე გმირს“ ნიშნავს.

უტა – ქართული სახელია.

უშანგი (სპ.) – „ნებიერი“, „ბედნი-ერად მცხოვრები“.

## კართული სახელები

ვოთოლა – ქართული სახელია.

ეალთამზე – ქართული სახელია.

შუპრია – ქართული სახელია.

ციაგა, ცირა, ცისანა, ცისმარა, ცი-ური, ციცია, ცუცა – ქართული სახელებია.

ცირა – ქართული სახელია, მეგრულად „ქალიშვილს“ ნიშნავს.

ცოქალა – ქართული სახელია, მომდინარეობს ცხოქალა-საგან და ნიშნავს „სხვა, უცხო ქალს!“

ძაბული – ქართული სახელია: სავა-რაუდოდ მომდინარეობს მეგრული ძღაბის მოფერებითი ფორმისგან.

ძიძია – ქართული სახელია.

ხათუნა (თურქ. ირან.) – „ქალბატონი“, „მანდილოსანი“.

ხატია – ქართული სახელია, „დახა-ტულს“, „ძალიან ლამაზს“ ნიშნავს.

ხეპარამზე – ქართული სახელია. ხვარიანულ ენებში ნიშნავს „მზეს“, ისე რომ ამ სახელში ერთდღოულად მზის ქართული სახელიც არის წარმოდგენილი და ირანულიც. (ფარაული). ხვარამზე რექმევია ვახტანგ გორგასლის დას.

ხორემანი (სპ.) – „ბედნიერი“. ეს სახელი ერქვა თეიმურაზ პირველის მეუღლეს.

ჯავარა – მომდინარეობს არაბული სიტყვისაგან „ჯავარ“, რაც „ძვირფას ქას“, „თვალ-მარგალიტს“ ნიშნავს, ამდენად ჯავარა „მომხიბვლელს“, „ტურფას“ ნიშნავს და მნიშვნელობით შეესატყვი-სება მარგალიტს.

# ანგრისის დემოკრატიული მდირარი მოსნერი

თავის მე-18 დაბადების დღეზე შვეიცარიელმა მოსწავლემ ათინა რუსელმა საჩუქრად მიიღო საბერძნეთის რამდენიმე კუნძული, უძრავი ქონება ნიუ-იორქში, პარიზში, ლონდონში, ათენსა და მონტე-კარლოში, ანგარიშები მსოფლიოს 217 ბანები და კიდევ „უმნიშვნელო წერილმანი“ – აქციათა საკონტროლო პაკეტები, ძვირფასი სამყალები, ხელოვნების ფასდაუდებელი ნიმუშები და სხვ.

ათენა რუსელს იგი თვითონ ექახის თავის თავს, თორებ მოული მსოფლიოსთვის ის ათენა ონასისა. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ 13 წლის ასაში იტალიურ ჭურნალ „ოქროსთვის“ მიცემულ თავის ერთადერთ ინტერვიუში გოგონამ განაცხადა: „მინდა თავად გვარი ონასის დავითიშვილ, სწორედ ის არის ყველა უბედურების მიხეზიონ“, ათინა ყველასთვის უწინარეს ყოვლისა, „ოქროს ბერძნის“, მილიონერია არისტოტელე ონასის შეფლიმენია. პაპამ ჯიბები 60 დღლარით ბუენოს-აირესის დოკებში დაიწყო ბიზნესი, რომელმაც იგი საბოლოო ჯამში მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რიგებში ჩააევნა. ათინა სამი წლის იყო, როდესაც იმავე ბუენოს-აირესში გახდომის აბების ჭარბი დოზის მიღებით გამოწვეული გულის შექმენისაგან 37 წლის ასაში გარდაიცვალა მისი დედა ქრისტინა ონასისი, 1973 წელს აეიაგატასტროფაში დაიღუპა ათინას ბიძა ალექსანდრე. შეილების უდროო დაკარგვამ შშობლებსაც მაღლ მოუსწრაფა სიცოცხლე. ისე რომ ონასისთა უძლიერესი დინასტიისაგან ერთადერთი შთამომავალი დარჩა –ტიერი რუსელისა და მისი პირველი ცოლის ქრისტინა ონასისის პირმშო.

წელს, 29 იანვარს, ათინას 18 წელი შეუსრულდა და იგი ავტომატურად გახდა პაპისეული იმპერიის ნახევრის მფლობელი, მეორე ნახევარს იგი მაშინ მიიღებს, როცა 21 წლის შესრულდება, თუმცა გოგონა დღესვე ინგლისის დედოფალზე

ბევრად უფრო მდიდარია. საბერძნეთში ამბობენ, რომ „ოქროს გოგონა“ საარაკო სიძლიერის პატრონია.

ათინა მამის მეორე ოჯახში იმრედებოდა, დედით დაობლებულ გოგონას ტიერი რუსელის მეორე ცოლი გაბი ლანდხაბე ზრდიდა მათ სამ საერთო შეიღლათან ერთად. დღესდღობით ოჯახი შვეიცარიაში, უნევის ტბის პირას, თვალწარმტაც სოფელ ლიუსი-სიურ მორეში ცხოვრობს

და ყოველგვარ ზედმეტ ურთიერთობას ერიდება.

გაბი თავადაც უბრალო ოჯახში გამზარდა და ოთხივე ბავშვსაც უბრალო ზრდიდა. ათინას შმობელი დედა კი უახორბამდე მისული საჩუქრებით ანგივრებდა თავის გოგონას. ერთხელ, როცა ქრისტინამ შეატყო, რომ პატარას ძალიან მოსწონდა საბავშვო ლექსი შავ ბეკეკაზე, მთელი ცხვრის ფარა უყიდა საჩუქრად და მწევ-მსიც დაუქირავა, ხოლო რადგან ათინას სხვა ცხოველებიც უყვარდა, დედამ მთელი ზოოპარკი აჩუქა.

ათინას დღესაც უყვარს ცხოველები, ყველაზე მეტად კი – ცხენები. მას ყოველთვის ყველაზე ძირადლირებული ცხენები და ყველაზე კარგი მწვრთნელები ჰყავდა და ჰყავს. შვეიცარიიდან იგი თვითმფრინავით რეგულარულად ჩადის ბრიუსელში, სადაც ცხენოსნობაში ვარჯიშობს და ბერძნებს ძალიან უნდათ, რომ ლეგენდარული ონასისის შეილიშვილი 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში მათი ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში გამოვიდეს საბერძნეთის დედაქალაქში. ათინა შეიძლება მართლაც ჩაედინეს თავის მოსახელე ქალაქში, მაგრამ თანამემამულებს ბერძნულად ნამდვილად ვერ დაელაპარაკება, რადგან პრაქტიკულად არ იცის ეს ენა. იგი არც ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიას მიიჩნევს თავისად. უკანასკნელად ათენში იგი 1999 წელს იყო, ყოველივე ამის მიუხედავად, ბერძნები ყველაფერს პატიობენ ონასის შთამომავალს.



# სიცილის გაუზათილი

—წავიდეთ, დედიკო, ხომ ხე-  
დავ, დირექტორი ამბობს, სკოლა  
გადატვირთულიაო, და ძალას ხუ-  
დავატანთ, უხერხულია!

\*\*\*

—ალბათ იცით, რომ ჩემი  
ძმისწული თქვენს სკოლაში სწა-  
ვლობს?

—რა თქმა უნდა! გუშინწინ ფე-  
ხბურთის საერთაშორისო მა-  
ტჩის დროს თქვენს დაერძა-  
ლვაზე დასასწრებად დამეთხოვა.

\*\*\*

ცოლ-ქმარი შმიდტები შვე-  
ბულებაში წასავლელად ემზა-  
დებიან.

—ბავშვებს რა ვუყოთ? — წუ-  
ნდა ქმარი.

—ბავშვები დედაჩემთან და-  
ვტოვოთ, — უთხრა ცოლმა, —  
ძალლი და იაღონი დეიდა მა-  
რთას მივაბაროთ, კატას კი მე-  
ეზოვე წაიყვანს.

ქმარი ჩაფიქრებული მიაჩე-  
რდა ფანჯარას.

—რაზე ფიქრობ? — ჰყითხა  
მეუღლებ.

—იცი რა, თუკი ბინაში ასეთი  
სიწყნარე იქნება, საღმე წასვლა  
რაღად გვინდა?! შინაც კარგად  
დავისვენებთ!

\*\*\*

მასწავლებელი: ფრანკ, ვინ  
არის კაციჭამია?

ფრანკი: არ ვიცი.

მასწავლებელი: ვთქვათ, მა-  
მაშენი და დედაშენი შეჭამე, ვინ  
იქნები მაშინ?

ფრანკი: ობოლი, ბატონო მა-  
სწავლებელო.

\*\*\*

ერთხელ ჯექმა ტომს ჰყითხა:

—მითხარი, მზე უფრო სასა-  
რგებლოა თუ მთვარე?

—რა თქმა უნდა, მთვარე  
მზეზე სასარგებლოა, რადგან

მთვარე იმ დროს ანათებს, როცა  
ბენელა, მზე კი დღისით ანათებს,  
როცა არავის სჭირდება, — მი-  
უგო ტომმა.

\*\*\*

ვალ და სოსოს ვეთამაშები?  
—არა, სოსო ცუდი ბიჭია.  
—მაშინ შეიძლება, გავიდე და  
სოსო ვცემო?

\*\*\*

პატარა პანი ძილის წინ ფე-  
ხებს იძანს, უცებ დედას ეკი-  
თხება:

—დედა, გიხარია, რომ ცხენი  
არა ვარ?

—კი, რა თქმა უნდა, — პასუ-  
ხობს გაკვირვებული დედა.

დაწყებით კლასში მასწა-  
ხებს იძანს, უცებ დედას ეკი-  
თხება:

—ბავშვებო, ვინ იცის ათა-  
ველა?

კარგია! ახლა კი ვნახოთ,

ათის შემდეგ ვინ იცის.  
ხელი მარტო პატარა ფა-  
კომ ასწია.

—ეოჩალ, ფაკო, აბა, გი-  
სმენთ!

—ათი, ვალეტი, ქალი, მეფე,  
ტუჩი...

\*\*\*

მამამ შვილი ზოოპარკში  
წაიყვანა. ვეფხვის გალიასთან  
ფირნიში ეკიდა წარწერით:  
„ფრთხილად, შეღებილია!“

გოგონამ დიდხანს უურა  
ვეფხვს და იმედგაცრუებულმა  
თქვა:

—მე კი მეგონა, ზოლები ნა-  
მდვილი იყო.

\*\*\*

—მეც მიხარია, მაშინ ხომ  
ოთხი ფეხის დაბანა მომიწევდა!

\*\*\*

სემი: მამა, საიდან გავჩნდი?

მამა: საიდან და ჯერ მე გა-  
დავაფურთხე, მერე დედაშენმა  
და გაჩნდი შენ.

სემმა აიღო ქილა და მშო-  
ბლებს შიგ ჩაფურთხება  
სთხოვა. მეორე დღეს ბიჭმა ტოს?

ქილაში ტარაკანი აღმოაჩინა  
და დედას მიადგა.

—დე, მე ჩემს ძმას ვერ მო-  
გელავ და როგორ მოვიქცე?..

\*\*\*

—დედა, შეიძლება, ეზოში გა-

პატარა პეტერი მამასთან  
ერთად მისეირნობდა. უცებ ძა-  
ლლი ფეფით გამოუვარდათ. შე-

შინებულმა პეტერმა გაქცევა  
დააპირა, მაგრამ მამამ და-  
ამშვიდა:

—ნუ გეშინია, ჩემო ბიჭუნა,  
მეფეარი ძალლი არ იყბინება.

—მაგრამ ვეფა რომ შეწყვი-  
სოდა?

\*\*\*

—უკვე 8 საათია, ბობი,  
ჩემს ძმას ვერ მო-  
გელავ და როგორ მოვიქცე?..

—დაგავიანდება!


—ნუ გეშინია, დედიკო, სკოლა

მთელი დღე ღიაა.

ნაიაფული

# ინილი - მინილი

კროსორდი



**თარაზულად:** 1. გადამეტებული თავის ქება, ანუ?.. 2. შენიშვნა, მინაწერი, ანუ?.. 3. იტალიის ქალაქი; 8. ამომავალი მზის ქვეყნა, ანუ?.. 14. მოუხარისავი, ანუ?.. 15. ცხენის სხეულის ნაწილი; 17. სიკეთე, მოწყალება, ანუ?.. 19. გარეული წვრილი კომში, ანუ?.. 20. ჩილეს ქალაქი; 22. ქალის სახელი; 23. ძველი ქართული სიმღერა; 24. საქართველოს მდინარე; 26. მთავარი ჩხრი, ანუ?.. 28. ნაცვალსახელი; 29. შხამიანი გველი; 30. მდიღრულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 31. ვა-

ლსების მეცედ წოდებული კომპინიტორი; 32. ჯეპ ლონდონის ნამდვილი გვარი.

**შეკველად:** 4. ქალაქი, სადაც პირველად შემოიღეს სახლების დანომვრა; 7. უწესრიგობა, ქაოსი, ანუ?.. 8. ეკროპის სახელმწიფო; 16. მუსიკალური ნაწარმოები; 18. წვრილი მწერი; 21. სუბტროპიკული ხე; 25. პოლონეური ფულის ერთული; 27. ცხოველი.

**დიაგნოსტიკურად:** 1. ინგლისის გაზითი; 5. მკვახე ფურძენი; 6. დაბალი ბუქები; 7. ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულება; 9. ქართული სპო-

რტული თამაში; 10. ცნობილი მოჭალაკე, 1960-61 წ.წ. მსოფლიო ჩემპიონი;

11. წერილობითი თხოვნა, საჩივარი, ანუ?.. 12. ცხენოსნური სპორტის სახეობა; 13. მზის ამოსელამდე დილის სინათლის გამოჩენა ანუ?.. 33. ტერიტორია, სადაც გავრცელებულია მცენარის ან ცხოველის გარკვეული სახეობა; 34. სავის მონახვი, კონტური ანუ?.. 35. ფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინება ანუ?.. 36. ქიმიური ელემენტი; 37. ვერდის ოპერა; 38. სახელმწიფოს ან ორგანიზაციის წარმომადგენელი.

## გეოგრაფიული თავსეატები

კონტინენტები

უჯრებელი



ჩასვით

სხვადასხვა



ქვეყნის

ქალაქების

სახელები



ივნიველი 15 განსევნება



### სახლის ჭურულებას

ჩემთ საყვაჩეო სა-  
ნდიუმ, გიღოცავ გაზაფხუ-  
ლის მოსვერას. გისეჩვებ ჯა-  
ნმითეობას, სიხაჩებს, სი-  
ყვაჩებს, ბერნიქ ბავშვობას,  
ულებლ კას. ყოველთვის  
გვეამაყოს შენით! ძაღიან  
მოვაჩხა.

ღია (გვგ)



### თბილისის 191-ე ნაშენის სკოლა. I კლასი. ნერობრუნებითი გურაული ჭრისას




თბილისის 155-ე ნაშენის სკოლა. I კლასი.

# “მაჭურის” უბნისძება


## დღლები და ცხლლანი



სოფის პაზარი



ცალკეობა



ცალკეობა



კავაში